# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 13 მარტი 2002 №42 (1564) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



UEFA CHAMPIONS LEAGUE

# EL DEPO

## დეპორტივოსთან თამაშის მერე მეტოქე სარემონტოა



REUTERS

„არსენალი" — „დეპორტივო" 0:2. ნურედინ ნაიბეტის მეორე გოლმა დევიდ სიმენს ხელები გულზე დაკრეფინა

## ტორპედო ქუთაისი — დინამო თბილისი

# ფრთხილად!!!

### ქუთაისში მომხდარი საშიში სიმპტომია, მაგრამ უფრო საშიში მავანთა სირაქლემობაა: ვისაც სხვისი გატეხილი თავი ფეხბურთის პროგრესი ჰგონია, პასუხი თავით უნდა აგოს

როცა ორი მხარე ჩხუბობს, ორივე დამნაშავეა — ეს უძველესი ჭეშმარიტებაა და დარწმუნებულნი ვართ, კვირას ქუთაისში იქაური „ტორპედოს" და თბილისის „დინამოს" ფანები რომ ერთმანეთს დაერივნენ, მამა აბრამის ბატკანი არცერთი იყო. ჩხუბის მერე ორივე მხარე თავის არგუმენტებით გამოდის და ცდილობს, ყველა ცოდვა მეორე მხარეს აჰკიდოს, მაგრამ საბუთები ფრიად უსუსურია, რადგან ქუთაისში ქვათაცვენა ადრეც მიღებული პრაქტიკა გახლდათ და არც თბილისური ბილწსიტყვაობაა ისეთი იშვიათობა, ადამიანმა გაკვირვებისგან პირი დააღოს. ყველა დროის ყველა სტადიონს საკუთარი ამრევი ჰყავდა, რომელიც აგრესიით თავის ჭიას ახარებდა და სხვათა აყოლიებას თუ შეძლებდა, ხომ მთლად უკეთესი. ამგვარი ხალხის დანყებულია კვირის კონფლიქტიც და, პირველი დარტყმა ჭირს, თორემ ყველაფერი „დიდებულად" მიდის: ის შეაგინებს, ეს ქვას ესვრის, ის „დუბინკას" მოიმარჯვებს და ასე შემდეგ. მოკლედ, ორივე მხარე თავის წილს მიჰქარავს ხოლმე და მართლა დამნაშავე კი ოფიციოზია, ანუ ის ხალხი, ვისაც ეროვნული ჩემპიონატის ნორმალური გამართვა ევალება. პირველ რიგში ვგულისხმობთ ქუთაისელ სამართლადამცავებს და წყენას იწვევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პილატესეული პოლიტიკაც. სამი დღე გავიდა და არავითარი შეფასება-კომენტარი, ფეხბურთის მამებმა მთელი საქმე სადისციპლინო კომიტეტს აჰკიდეს, რომელიც დღეს, პირველ საათზე შეიკრიბება. ხოლო ფედერაციის ჩინოსანთა კომენტარებში... ჰოი, საოცრებავ: კმაყოფილი ბგერები ისმის, ეს ყველაფერი ქართული ფეხბურთის დონის ამაღლებას მოასწავებსო. მფრინავი ქვები და გატეხილი თავები თუ პროგრესია, ავშენებულვართ და ეს არის...

# ლიხტენშტაინმაც თავზე არავის დააკოლოსკოვებინა

## ღირსება მთავარია!

### ვისი მიზეზით საქართველო არის პატარა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციაში ამტკიცებენ, ევროპის ჩემპიონატის შეათე შესარჩევი ჯგუფის დუბლინში მიღებული კალენდარი საქართველოს ნაკრებისთვის იდეალურიაო. ამ საკითხზე ბევრი თქმულა და დაწვრილებით ნუღარ გავარჩევთ, უბრალოდ, აღვნიშნოთ, რომ კალენდრის ჩვენთვის იდეალურობის რაიმე ღირებული არგუმენტი ფედერაციას არ გააჩნია, საპირისპირო არგუმენტები კი ბლომად მოიძებნება.

ფედერაციაში ისიც თქვეს, რუსეთის და ირლანდიის ფედერაციათა ზოგიერთი მოთხოვნის გათვალისწინება მოგვიხდაო და ამით თავდაპირველი განცხადება კალენდრის იდეალურობის თაობაზე ცოტა არ იყოს, გაუგებარი ხდება — თუ რუსებმა და ირლანდიელებმა კალენდარში თავიანთი მოთხოვნები ჩადეს, ჩვენთვის იდეალური როგორღაა?

ახლა წამხდარ საქმეს ალარაფერი ეშველება, მაგრამ რამდენჯერ გვითქვამს და ერთხელაც გავიმეოროთ, რომ გამოსავალი არსებობდა და რუსთა და ირლანდიელთა მიერ შემოგდებული კალენდრის (მათთვის იდეალურის!) არმიღება ძალიან მარტივად შეიძლებოდა, ჩვენს წინააღმდეგ შეკრული ევროპაური ძალა მისი ასეთი სახით მიღებას ვერ გვაიძულებდა. ძალიან უბრალო რამ იყო გასაკეთებელი, ჩვენებს უნდა ეთქვათ: „არა".

ამ „არას" მერე საქმეში უეფა ჩაერეოდა და კალენდარსაც თავად შეადგენდა, რომელიც ყველასთვის თანაბრად სასურველი იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ამაზე უკეთესი ნაღდად გამოვიდოდა.

მთელი ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ მეშვიდე შესარჩევ ჯგუფში, რომელშიც ინგლისი, თურქეთი, სლოვაკეთი, მაკედონია და ლიხტენშტაინი მოხვდნენ, მსგავსი შემთხვევა იყო. მათი წარმომადგენლები სტამბოლში შეიკრიბნენ და რამდენიმესაათიანი დებატების შემდეგ დაიშალნენ, კალენდრის შედგენა კი უეფას მიანდეს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ დევისმა თქვა: „ყველას საკუთარი ვარიანტი გვქონდა და, სამწუხაროდ, არავინ არაფერი დათმო, რის გამოც გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი შეიქნა".

აი, ასეა — მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა სტამბოლში მოეწყო და ინგლისი ევროპულ ფეხბურთში დიდ ავტორიტეტს წარმოადგენს, ლიხტენშტაინმა, სლოვაკეთმა და მაკედონიამ, რომელთაც, გულახდილად რომ ვთქვათ, ევროპაზე მოხვედრის შანსი არცა აქვთ, მაინც პრინციპულობა გამოიჩინეს.

დასკვნა: საქართველო თავისი ნებით (უფრო სწორად, ნების უქონლობით) ლიხტენშტაინზე პატარა ყოფილა.

**გიორგი დარჩიანია**

# ჩემპიონთა ლიგა
## მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური

### C ჯგუფი

**პორტუ 2:1 პანათინაიკოსი**

1:0 დეკო სოუზა (12), 2:0 პენა (54), 2:1 კოლკა (65)
პორტუ: პაულუ სანტუში, სეკრეტარიუ, რიკარდუ სილვა, ანდრადე, სოლდერვილიომი, პაროდესი, კოშტინია, დეკო სოუზა (მოსტოვოი 89), ნუნუ კაპუშუ, პენა (პაულინი 83), კლეიტონი (კანდიდუ კოშტა 67)
მწვრთნელი: ჟოზე მოურინიუ
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, პენრიკსენი, ფოკოლისი (ულაოვეში 70), კირიაკოსი, ფისასი, სარიჩი, ბასინასი, კარაგუნისი, იარნი (კოლკა 35), კონსტანტინუ (ოლისადებე 30), ლიბეროპულოსი
მწვრთნელი: სერხიო მარქარიანი
გაფრთხილება: სოლდერვილიომი, ბასინასი, კირიაკოსი, კოლკა
გაძევება: სეკრეტარიუ (78)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
6 000 მაყურებელი

**რეალი 3:0 სპარტა**

1:0 სოლარი (60), 2:0 გუტი (64), 3:0 სავიო (71)
რეალი: კასილიასი, ჟერემი, პავონი, ბრავო, ელგერა (მორიენტესი 76), კონსეისაო, სელადესი, მაკმანამანი (სავიო 53), გუტი, მუნიტისი, სოლარი (მინამბრესი 63)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
სპარტა: ჩეხი, ჩიჟეკი, პუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, ფლახბარტი, სიონკო, იაროშიკი, კლეინი, მიხალიკი, კინცლი, აბანდა (ბაბნიჩი 66)
მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი
გაფრთხილება: მუნიტისი, ფლახბარტი, აბანდა, ელგერა
მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)
40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 5 | 0 | 0 | 12:3 | 15 |
| პანათინაიკოსი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| პორტუ | 5 | 1 | 1 | 3 | 3:4 | 4 |
| სპარტა | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |

„რეალი" გავიდა მეოთხედფინალში

### D ჯგუფი

**არსენალი 0:2 დეპორტივო**

0:1 ვალერონი (30), 0:2 ნაიბეტი (40)
ანრიმ ვერ გაიტანა პენალტი (65, მოლინა)
არსენალი: სიმენი, ლუენი, სტეპანოვსი, კემპბელი, ლორენი, პირესი, ვიეირა, გრიმანდი (ლიუნგბერგი 64), ბერხკამპი, ანრი, ვილტორდი (კანუ 64)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
დეპორტივო: მოლინა, სკალონი, სეზარი, ნაიბეტი, რომერო, სერხიო, მაურო სილვა, ვიქტორი, ფრანი (კაპდევილა 72), ტრისტანი (მაკაი 85), ვალერონი (დუშერი 80)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ვიქტორი, სერხიო, სკალონი, ვიეირა, მოლინა, ნაიბეტი
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
35 392 მაყურებელი

**ლევერკუზენი 3:1 იუვენტუსი**

1:0 ბუტი (24პ), 1:1 ტუდორი (61), 2:1 ბრდარიჩი (71), 3:1 ბაბიჩი (90)
ლევერკუზენი: ბუტი, სებესკენი, ლუსიო, იენს ნოვოტნი (ვრანიეში 12), პლასენტე, შნაიდერი, რამელო, ზე რობერტო, ბალიტური (კლაინი 90), ბერბატოვი (ბაბიჩი 78), ბრდარიჩი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
იუვენტუსი: ბუფონი, ფერარა, ბირინდელი, ძენონი, პესოტო (ტუდორი 46), კონტე (მარესკა 46), ძამბროტა, ტაკინარდი, ნედვედი, ტრეზეგე, ამორუზო (ზალაიეტა 61)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ფერარა, ბრდარიჩი, სებესკენი, ტუდორი, პლასენტე, ნედვედი
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)
22 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| არსენალი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| ლევერკუზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:10 | 7 |
| იუვენტუსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |



არსენალი — დეპორტივო. ხოსე ფრანსისკო მოლინას მოგერიებულმა პენალტმა ტიერი ანრიც გატეხა და „არსენალიც"



რეალი — სპარტა. ჯერემი ნჯიტაპს ჩეხი იან ფლახბარტი საცაა წააქცევს



ლევერკუზენი — იუვენტუსი. გერმანელთა მეკარე ჰანს-იორგ ბუტს გატანაც ეხერხება



პორტუ — პანათინაიკოსი. მასპინძელ ნუნუ კაპუშუს ბერძენმა ლეონიდას ვოკოლოსმა მაისურის ხარისხი შეუმოწმა

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები**

ბრედფორდი 1:3 ბირმინგემი
ძრიუ 1:3 მანჩესტერ სიტი
პორტსმუთი 1:2 უიმბლდონი

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები**

ბლეკპული 1:1 ტრანმერი
ბრენტფორდი 0:0 ჩესტერფილდი
ბრაიტონი 2:0 ნორთჰემპტონი
უიკომბი 2:4 ჰადერსფილდი

**მესამე დივიზიონი გადადებული მატჩები**

როვერსი 0:0 კარლაილი
ჰალიფაქსი 1:0 კიდერმინსტერი
ლეიტონი 2:1 საუთენდი
ლინკოლნი 0:1 ჩელტენემი
ლუტონი 3:0 ექსეტერი

## ჰოლანდია

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები**

ემენი 2:1 ჰაარლემი
ვეენდამი 3:4 დენ ჰააგი

## შოტლანდია

**პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები**

ერდრი 1:0 ფოლკირკი
კლაიდი 0:0 როსი

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები**

ალოა 2:2 კლაიდბენკი
ფორფარი 0:0 კოუდენბითი
მორტონი 0:1 სტენჰაუზმური
სტრანრარი 1:2 ძუინი

**მესამე დივიზიონი გადადებული მატჩები**

ბრეჩინი 3:1 სტირლინგი
ელგინი — ალბიონი გადაიდო

## რუსეთი

**პრემიერლიგა. II ტური**

სპარტაკი 3:0 შინიკი
ურალანი 0:0 ლოკომოტივი
ალანია 1:4 კრილია სოვეტოვი
სატურნი 2:0 როსტსელმაში

## ჩეხეთი

**თასის მერვედფინალი**

ტეპლიცე 1:0 ბოჰემიანსი
სლავია 3:0 პრადიც კრალოვე

# სირცხვილია!
## რომასგან აძლებული ლაციო ფანებმაც დააწიოკეს





„რომასთან" სამარცხვინო 1:5, როგორც ჩანს, ძვირად უჯდება „ლაციოს" და მის თავკაც ალბერტო ძაკერონის. ნამატჩევს ყველას ეგონა, სერჯო კრანიოტი მწვრთნელს კარისკენ მიუთითებსო, მაგრამ ნურას უკაცრავად. კრანიოტიმ საქვეყნოდ განაცხადა: „ალბერტო ძაკერონი „ლაციოს" მწვრთნელად სეზონის ბოლომდე დარჩება".

და დაიწყო. ჯერ კაპიტანი ალესანდრო ნესტა გაიპარა რომიდან, მის ადგილსამყოფელს გუშინ ვარჯიშის დაწყებამდე ვერ მიაგნეს. „ფორმელოში", „ლაციოს" საწვრთნელ ბაზაზე კი გუშინვე „კარაბინერებს" რომ არ ემარჯვათ, ვინ იცის, ძაკერონის რა დღეც ლაადგებოდა.

400-მდე გაავებული ტიფოზი, როგორც სააგენტო ANSA იუწყება, „ლაციოს" საწვრთნელ ბაზაზე შევარდა. გაშხეცებულებმა ჯერ ფეხბურთელებზე გაიჭაჩეს, იქამდე რომ არ მიუშვეს, თავად ძაკერონის შეუვარდნენ კაბინეტში. პოლიციამ კი იყოჩაღა, მაგრამ ფეხბურთელები ბოთლებისა და ხილბოსტნეულის წვიმას ვერ გადაურჩნენ.

**გიორგი ვაშაკიძე**



ალესანდრო ნესტას ქომაგებისგან პოლიცია იცავდა

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. V ტური. დღეს

## A ჯგუფი

### მანჩესტერი — ბაიერნი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, სილვესტრი, ფ. ნევილი, კინი, ბექემი, სქოულზი, ვერონი, ვან ნისტელროი, გიგზი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ფინკი, იერემისი, ეფენბერგი, სანტა კრუზი, ელბერი, ციკლერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი". მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

### ნანტი — ბოავიშტა

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლანდრო, ლასპალი (ან დეროფი), სეტო, ჟილე, ატება, ჯემბა, სავინო, დევინო, კუინტი, ანდრე, აპამადა
მწვრთნელი: ანხელ მარკოსი

რიკარდუ, ნუნუ ფრეშაუ, პაულუ ტურა, პედრუ ემანუელი, ე. სანჩესი, ე. ლიმა, ა. პეტი, ჟორჟე სილვა, დუდა, ელპიდიუ სილვა, მარტელინიუ
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ

ნანტი. „ბოჟუარი". მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

# ჰიცფელდმა 2:2 ინატრა

## კანისთვის ოთხშაბათიც შაბათია



ოტმარ ჰიცფელდი ფსონს ფრეზე ჩავიდა

„**დღევანდელ** მატჩს მთელი ევროპა ნახავს, თუმცა პირადად ჩემთვის „კაიზერსლაუტერნთან" შაბათის მატჩი უფრო მნიშვნელოვანია" — თქვა მიუნხენის „ბაიერნის" კარის დარაჯმა ოლივერ კანმა ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედთან" სალიგო მატჩის წინ. მკაცრეს დაუჩემებია, თუ შაბათს „კაიზერსლაუტერნს" სტუმრად მოვუგებთ, დარწმუნებული ვარ, კვლავ გავხდებით გერმანიის ჩემპიონები. მოგეხსენებათ, „ბაიერნი" ბოლო სამი ბუნდესლიგის გამარჯვებულია, ზედიზედ ოთხზის ჩემპიონი კი გერმანიას ჯერ არ ჰყოლია.

A ჯგუფში კი, „ბაიერნსაც" და „მანჩესტერ იუნაიტედსაც" რვა-რვა ქულა აქვთ დაგროვილი. გერმანელთა მწვრთნელს ოტმარ ჰიცფელდს უთქვამს, ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებას ის უპირატესობა აქვს, რომ მეოთხედფინალში საპასუხო მატჩს შინ ჩავატარებთო, თუმცა უფრო საინტერესო რამ მანამდე წამოსცდა — 2:2-ს წარმატებულ შედეგად ჩავთვლიო. გამოვითვალოთ: თუ მატჩი მართლაც ჰიცფელდის ნახსენები ანგარიშით დასრულდა, „ბაიერნი" ცხრილში „იუნაიტედს" გაუსწრებს, რადგან შარშან ნოემბერში „ოლიმპიაშტადიონზე" მათი შეხვედრა 1:1 დამთავრდა. თუმც ერთი ტურით ადრე ურთიერთშეხვედრებში ცხრილში ბურთების უპირატესობით გადასწრება ყველაფერს როდი ნიშნავს. ხოლო თუ ვივარაუდებთ, რომ დღეს „ბაიერნი" დამარცხდება, „ბოავიშტა" კი სტუმრად „ნანტს" გატეხს, მაშინ გერმანელებისთვის ბოლო მატჩი ფრანგებთან, გადამწყვეტი იქნება.

„მანჩესტერისა" და „ბაიერნის" დაპირისპირების დროს უთუოდ გაგახსენდებათ 1999 წლის „კამპ ნოუს" ფინალი. ინგლისელთა მიერ წამატებულ წუთებში გერმანელების დაჩაგვრა არავის დავიწყებია, ისევე როგორც „ბაიერნის" შარშანდელი რევანში — „მანჩესტერის" ლიგის მეოთხედფინალიდან გაგდება.

გუნდებში ახლანდელ ვითარებაზე კი შეიძლება ეს ითქვას: „მანჩესტერ იუნაიტედი" ზუსტად ერთი კვირაა ისვენებს — წინა ოთხშაბათს „ტოტენჰემს" 4:0 სძლია. „ბაიერნს" კი შაბათს დიდი ბრძოლა ჰქონდა მიუნხენურ დერბიში და რის ვაი-ვაგლახით 2:1 მოიგო.

ინგლისელთა შემადგენლობაში ვერ ითამაშებს ოლე გუნარ სოლსკიაერი, სხვათა შორის, „კამპ ნოუს" ფინალში გამარჯვების გოლის ავტორი. სხვა ყველა მწყობრშია და რაიან გიგზი მეტოქის ხასიათზეც დამდგარა: „ჩვენ ვიცით, რომ მეტოქე მოსაგებად მოდის და უკომპრომისო ბრძოლა გველის, მაგრამ მათ თუ იციან, ჩვენ რას ვუპირებთ?"



„კამპ ნოუს" გმირი ოლე გუნარ სოლსკიაერი „ბაიერნს" დღეს ვეღარ გიუტანს

„ბაიერნს" არ ეყოლება კარსტენ იანკერი, რომელიც შაბათს დაშავდა. მეჰმეთ შოლმა და ჰასან სალიჰამიჯიჩმა კი, ტრავმები უფრო ადრე მიიღეს.

„ნანტი" უკვე კარგა ხანია, წყალმა წაიღო და ამ ტურში მოიგებს თუ არა, მხოლოდ პრესტიჟის საქმეა.

ფრანგებს არ ეყოლებათ გამთამაშებელი სტეფან ზიანი, რომელსაც ტრავმა აქვს, ხოლო მწვრთნელმა ანხელ მარკოსმა, აქაოდა, ჯგუფიდან მაინც ვერ გავდივართო, მცველ სილვენ არმანის დასვენება გადაწყვიტა. ასევე საკითხავია, ითამაშებს თუ არა ნიკოლა ლასპალი.

„ბოავიშტას" დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს. პირიქით, გუნდს იძულებით დასვენებული პაულუ ტურა უბრუნდება. ტრავმა მოირჩინა ნუნუ ფრეშაუმაც, ხოლო ნახევარმცველ ლუიშ პედროს ბედად ახლა დაეჭიმა კუნთი.

**ნიკა შუბლაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:3 | 8 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| ბოავიშტა | 4 | 1 | 1 | 2 | 1:4 | 4 |
| ნანტი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |

## B ჯგუფი

### ბარსელონა — ლივერპული

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბონანო, პუიოლი, დე ბური, კრისტენვალი, კოკო, ხავი, კოკუ, ლუის ენრიკე, სავიოლა, რივალდო, კლუივერტი
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი

დუდეკი, ანშო, შავიერი, ჰიიპია, კარაგერი, რიისე, ამანი, მერფი, შმიცერი, ჰესკი, ლიტმანენი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე

ბარსელონა. „კამპ ნოუ". მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

### რომა — გალათასარაი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ანტონიოლი, პანუჩი, სამუელი, ძებინა, კაფუ (ან ასუნსაო), კანდელა, ფ. ლიმა, ტომაზი, ემერსონი, ტოტი, მონტელა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

მონდრაგონი, ბიულენთ ქორქმაზი, ემრე ასიქი, ვიქტორია, პერესი, ფლურკინი, ერგუნი, გიოქთანი, არიფი, ჰასან შაში, უმით კარანი
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

რომი. „სტადიო ოლიმპიკო". მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

# ლაციო არ გეგონოთ, გალათასარაი ვართ!

„**შემოდგომაზე** მოგვიგეს და მათი ქომაგები ახლაც იმაყეს მოსთხოვენ, რაც ფეხბურთელებზე ცუდად იმოქმედებს. გარდა ამისა, ლეიისთვის კარგ ფორმაშიც არ არიან, ჩვენ კი საკუთარი ძალებისა გვჯერა და ამიტომ „კამპ ნოუზე" არაფრის უნდა გვეშინოდეს" — ლივერპულელთა ნახევარმცველ დენი მერფის ეს სიტყვები მთლიანად გუნდის განწყობას კარგად გამოხატავს.

მიუხედავად იმისა, რომ მაიკლ ოუენი არ ეყოლებათ, „წითლები" მომართულები არიან. კაცმა რომ თქვას, სხვა გზა არც აქვთ, თუ დღეს „ბარსელონასთან" წააგეს, მეოთხედფინალში გასვლის შანსი პრაქტიკულად აღარ დარჩებათ.

შარშან ნოემბერში კატალონიელებმა ლივერპულში 3:1 გაიმარჯვეს, თანაც ბრიტანელებს ნამდვილი გაკვეთილი ჩაუტარეს, მაგრამ დღეს ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. „ბარსა" თავის ჩემპიონატშიც ბორძიკობს. აი, ბოლო ტურში „ბეტისთანაც" წააგო და მეხუთე ადგილზე დგას, „ლივერპული" კი მცირე წაფორხილების მერე ისევ ათამაშდა და ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატიცაა.

ბრიტანელებს არც ის ავიწყდებათ, რომ შარშან გაზაფხულზე ბარსელონელები უეფას თასიდან გამოაგდეს და მერე ეს ჯილდო „ენფილდზე" ჩაიტანეს.

ახლო წარსულში „ბარსელონას", ახლა კი „ლივერპულის" ფინელი იარი ლიტმანენი ოუენის არყოფნაში თავის ყოფილ თანაგუნდელებს ემილ ჰესკისთან ერთად შეუტევს. ლიტმანენი ამბობს: „ყველაფერი ჩვენს ხელშია, თუ დარჩენილი ორი თამაშის მოგებას მოვახერხებთ, ალბათ, მეოთხედფინალში გავაღწევთ. მართალია, ძნელი იქნება, მაგრამ მიუღწეველი არაფერია. შარშან ხომ ვაჯობეთ „ბარსას".

ამ ქალაქში უამრავი მეგობარი მყავს. ლუის ვან გაალის წასვლის მერე გუნდში ვითარება ცოტა აირია, მაგრამ იქ ბევრი კარგი ადამიანი დავტოვე".

მასპინძლებს კი თავისი არგუმენტები აქვთ. მაგალითად, პატრიკ კლუივერტს ოუენის არყოფნა ახარებს: „მაიკლის ტრავმა მათთვის დიდი დანაკლისია, ჩვენთვის კი პირიქით. საიდუმლო არ არის, რომ ოუენი ამ გუნდისთვის ძალიან დიდი ძალაა. ჰესკიც კარგია, მაგრამ ოუენი გაცილებით მნიშვნელოვანი ფეხბურთელია".

დღეს კლუივერტს თავდასხმაში ჭაბუკი არგენტინელი ხავიერ სავიოლა შეუწყვილდება. მცირე ტრავმა აწუხებს რივალდოს. ამ მიზეზით ბრაზილიელმა ბოლო ვარჯიშები გააცდინა, მაგრამ სავარაუდოდ მაინც სასტარტოში იქნება.

ლივერპულელებს კი ოუენის გარდა დაშავებული ნახევარმცველი სტივენ ჯერარდიც დააკლდებათ. თუმცა ჯერარდი ბარსელონაში მაინც ჩავიდა და თავისიანებს ტრიბუნიდან გაამხნევებს.




ოუენობას იარი ლიტმანენი (№37) გასწევს

დღესვე, კვირას რომაულ დერბიში მხარგაშლილი „რომა" თურქულ „გალათასარაის" უმასპინძლებს. „ლაციოსთან" 5:1 მომგებ შემადგენლობაში, ალბათ, ორი ცვლილება მოხდება, თავდამსხმელ მარკო დელვეკიოს ადგილს ნახევარმცველი დამიანო ტომაზი დაიკავებს, ხოლო დაშავებული კაფუს ნაცვლად დაცვის მარჯვენა ფრთას ასუნსაო გაამაგრებს.

დიდ გულზე არიან თურქებიც. „ლაციო" არ გეგონოთ, ჩვენ „გალათასარაი" ვართ — აცხადებს სტამბოლური კლუბის პრეს-ატაშე აბდულრაჰიმ ალბაირაქი — დარწმუნებული გახლავართ, კარგად ვითამაშებთ და შინ უქულოდ არ დავბრუნდებით".

სტუმრებს შუა ხაზში ხერგენ ოალჩინი და ბიულენთ აკინი, ხოლო შეტევაში მურატ სოზქერენი დააკლდებათ.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 4 | 1 | 3 | 0 | 5:2 | 6 |
| ბარსელონა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| გალათასარაი | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| ლივერპული | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |



## ჯონ ტოშაკი

დაიბადა 1949 წლის 22 მარტს კარდიფში, უელსი

1966: მოთამაშის კარიერა „კარდიფ სიტიში" დაიწყო. 1968-70 წლებში, სამჯერ უელსის თასის მფლობელი გახდა

1970: გადავიდა „ლივერპულში". 1973, 1976 და 1977 წლებში გახდა ინგლისის ჩემპიონი. 1974-ში მოიგო ინგლისის, ხოლო 1973 და 1976 წლებში უეფას თასი. შვიდ სეზონში 200 მატჩი ჩაატარა და 95 გოლი მიითვალა. 40-ჯერ მოირგო უელსის ნაკრების მაისურა და 13-ჯერ აილო მეტოქეთა კარი

1979: „სუონსიში" მოთამაშე-მწვრთნელად დაინიშნა. გუნდი ინგლისის მეოთხე დივიზიონიდან პირველ დივიზიონში ალაზევა (ახლანდელი პრემიერლიგა)

1984: დაინიშნა ლისაბონის „სპორტინგის" თავკაცად

1985: ჩაიბარა სან სებასტიანის „რეალ სოსიედადი". გუნდმა 1987 წელს ესპანეთის თასი მოიგო. მომდევნო სეზონში ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა

1989: დანიშნეს მადრიდის „რეალის" მწვრთნელად

1990: „რეალი" ესპანეთის ჩემპიონი გახდა და გოლების სარეკორდო რაოდენობა, 107 გაიტანა. 18 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც ზედიზედ სამი თამაში წააგო, გაათავისუფლეს

1991: დაბრუნდა „სოსიედადში", ჯერ როგორც მეორე, შემდეგ უკვე როგორც მთავარი მწვრთნელი

1994: 28 იანვარს დაინიშნა უელსის ნაკრების მწვრთნელად. ნორვეგიასთან 1:3 წაგების შემდეგ თანამდებობიდან მოხსნეს

1994: 24 ნოემბერს ისევ დაბრუნდა „სოსიედადში"

1995: 23 მარტს „დეპორტივოს" მწვრთნელად დაინიშნა

1997: „დეპორტივოდან" წავიდა. 25 ივნისს დაინიშნა თურქული „ბეშიქთაშის" მწვრთნელად და იმ სეზონში გუნდი მეექვსე ადგილზე გაიყვანა

1999: მადრიდის „რეალში" გუს ჰიდინკი შეცვალა. 17 ნოემბერს გაათავისუფლეს, რადგან „რეალი" 11 ტურის შემდეგ მერვე ადგილზე იმყოფებოდა

2000: 6 ოქტომბერს დაინიშნა ფრანგული „სენტ-ეტიენის" მწვრთნელად

2001: 2 იანვარს მესამედ დაინიშნა „სოსიედადის" თავკაცად, გუშინწინ კი გუნდიდან დაითხოვეს.

# ისტორია მეორდება, ჯონ!

## ტოშაკის წასვლა-მოსვლით სან სებასტიანს ვერ გააოცებ

**უელსელი** ჯონ ტოშაკი სან სებასტიანში შინაური კაცია, იცნობენ, აფასებენ და თუ რამე შეეშალა, ხავერდოვნად ათავისუფლებენ. სამჯერ სცადა ერთ მდინარეში შესვლა, მაგრამ რატომღაც დაავიწყდა, რომ ორჯერაც ვერ შევიდოდა. „სოსიედადის" ბოსებმა ბოლო ორ საშინაო მატჩში ოდენ ერთი ქულის აღება თვით ტოშაკს, გუნდთან შესისხლხორცებულ უელსელ კაცსაც კი არ აპატიეს და მოხსნეს.

ჯონ ტოშაკი: „ეს ამბავი ჩემთვის მოულოდნელი სულაც არაა. საერთოდ ფეხბურთში სიურპრიზები იშვიათია. როცა კლუბის ოფისს მივუახლოვდი, უამრავი ჟურნალისტი დავინახე. მაშინვე მივხვდი, რაც მელოდა. ეს გაბედული და სწორი გადაწყვეტილება იყო".

ხოსე ლუის ასტიასარანი, კლუბის პრეზიდენტი: „მწვრთნელის გათავისუფლება გუნდის ჩავარდნის შედეგია. ჩემპიონატის დასრულებამდე 9 ტურია დარჩენილი და გვსურს, საჭირო რაოდენობის ქულები დავაგროვოთ, რათა პრიმერადივიზიონში დავრჩეთ. შინ ბოლო ორ თამაშში ექვსის ნაცვლად ოდენ ერთ ქულას დავჯერდით. არადა, უშუალო კონკურენტებს ვხვდებოდით და სწორედ მათთვის უნდა მოგვეგო".

მერე ტოშაკმა სეზონის დასაწყისი გაიხსენა, როცა გუნდი კრიზისში იყო: „მაშინ კი გამოვალწიეთ, მაგრამ გაზაფხულზე იგივე განმეორდა და უკვე უძლური ვარ" — განაცხადა „სოსიედადის" სამგზის ექსმწვრთნელმა.

**გაგა ხუციშვილი**

# მილანში თურქი ენატრებათ

## გალიანი ანჩელოტის ჭრის და თერიმს კარავს



კარლო ანჩელოტი და ადრიანო გალიანი

**„ბოლონიასთან"** 0:2 მარცხმა „მილანის" თავგადაკლული ქომაგები გააცოფა, ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი კი ჩააფიქრა. მას თურმე მთელი ღამე თეთრად გაუთენებია კრიზისიდან გამოსავლის ძებნაში. კლუბის პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონიც შეუწუხებია, რა ვქნათ, რა ვიღონოთო (ბერლუსკონის გადადგომა ჯერ არ გაფორმებულა).

სანამ გალიანი ფიქრობდა, „შავ-წითელთა" ტიფოზებმა მთავარ დამნაშავედ კარლო ანჩელოტი მიიჩნიეს, ვერაფრით მივხვდით, კარლიტო გუნდს როგორ ფეხბურთს ათამაშებსო. გალიანის აზრით კი, „მილანის" ყოვლად უსახური და საზიზღარი თამაში ფეხბურთელთა ტრავმებით არის გამოწვეული. სიტყვამ მოიტანა და აქვე ტრავმირებულებზეც ვთქვათ — პაოლო მალდინი, ფილიპო ინძაგი, მასიმო ამბროზინი, თომას ჰელვეგი, კლაუდიო სერჯინიო და „ბოლონიასთან" მატჩის წინადღეს დაშავებული ანდრეი შევჩენკო, ფერნანდო რედონდოსა და მოპამედ ალიუზე რომ არაფერი ვთქვათ.

„სეზონის წინ რუი კოშტა და ინძაგი ვიყიდეთ. თავდასხმაც რუი კოშტა-შევჩენკო-ინძაგის ტრიოზე იყო აწყობილი და ამ ფეხბურთელებმა ერთად ჯამში რამდენი წუთი ითამაშეს? 585, ეს ხომ სასაცილოა" — ასე ხსნის გალიანი „მილანის" ჩავარდნას და დასძენს: „ინძაგი ვარჯიში დაიწყო, კვირას „ტორინოსთან", ალბათ, ითამაშებს. მერწმუნეთ, პიპოს დაბრუნება „მილანს" კრიზისიდან გამოიყვანს".

გულშემატკივრებს კი გალიანიმ ასეთი პასუხი გასცა: „ახლა ყველა ერთად უნდა დავდგეთ. ანჩელოტის დათხოვნა არაფერს მოგვცემს. ვფიქრობ, იგი „მილანის" მწვრთნელი მომავალ სეზონშიც იქნება. ჩვენს მიზნად კვლავაც ჩემპიონთა ლიგის საგზურისა და უეფას თასის მოპოვება რჩება. გუნდის ჩავარდნით ბერლუსკონიც შეწუხებულია, თუმცა, სამწუხაროდ, ვერაფრით გვეხმარება".

ეს კი თქვა გალიანიმ, მაგრამ ორი დღის წინ ერთ-ერთ იტალიურ გაზეთს განუცხადა, შესაძლოა, გუნდში ფათიჰ თერიმი დავაბრუნოთო. ჟურნალისტებმა ეს სიტყვები თავად თერიმსაც აცნობეს, „იმპერატორად" წოდებულმა თურქმა კი კომენტარისგან თავი შეიკავა, ახლა ვერაფერს გეტყვითო. თუმც ერთ-ერთ საინტერნეტო გვერდზე თერიმის ამ სიტყვებს ამოიკითხავთ: „მომავალი სეზონიდან აუცილებლად ევროპაში ვიმუშავებ, ალბათ, უფრო იტალიაში. „მილანში" დაბრუნება? მე დღესაც ვერ მივხვდი, რატომ გამათავისუფლეს იქიდან, როცა გუნდში მუშაობა უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა. ანჩელოტის კი ხელში კოზირი უჭირავს — როგორც მე გამიშვეს, კარლოს ისე ვერ გაათავისუფლებენ. ის ხომ „როსონერის" ისტორიაში დიდი ფეხბურთელი იყო".

„მილანის" თავზე ჩამოწოლილი შავი ღრუბელი, როგორც ჩანს, ჯერ ვერ გაიფანტება. ალბათ, ადრიანო გალიანიმ თავადაც არ იცის, როგორ უშველოს დაბეჩავებულ გუნდს.

**გიორგი გუგაძიძე**

# მოდი, არსენ, თითო გადავკრათ

## ფერგიუსონმა ვენგერი ვისკიზე დაპატიჟა



არსენ ვენგერი



ალექს ფერგიუსონი

**ინგლისი** ხომ ტრადიციების ქვეყანაა და იქ სამუშაოდ ჩასულ უცხოელთა უმეტესობას ალღოს აღება თავიდან უჭირს. თუმცა, თავიდან კი არა, როგორც ჩანს, ზოგი რამ მათთვის კარგა ხანს უცხო რჩება. ერთ-ერთი ასეთი ტრადიციათაგანი გახლავთ ფეხბურთის თამაშის შემდეგ მოწინააღმდეგე გუნდთა მწვრთნელების ერთობლივი სმა. ფრანგულ გაზეთ „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა ამ საკითხზეც შეაჩერა ყურადღება.

და როგორც ირკვევა ერთადერთი, ვინც პრემიერლიგაში ხსენებულ ტრადიციას არ მისდევს, ლონდონის „არსენალის" ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერია.

„კარგი იქნება თუ ის შემოგვიერთდება და მატჩების შემდეგ ჩვენი მეთოდით განიმუხტება და დაისვენებს — ბრძანა შოტლანდიელმა — ვფიქრობ, ვენგერი თავისი გუნდით კიდევ სამი წლის განმავლობაში იქნება „მანჩესტერის" მთავარი კონკურენტი, „ლივერპული" და „ნიუკასლი" ძალიანაც რომ გაძლიერდნენ".

შემდეგ ფერგიუსონმა ფეხბურთელების ყიდვაზე და ყიდვის პრინციპებზე ისაუბრა:

„ნიუკასლმა" გამორჩეულივარსკვლავები რომ შეიძინოს, უთუოდ დიდ გუნდად გადაიქცევა, მაგრამ იქ კლიმატია მძიმე". სხვათა შორის, „იუნაიტედის" მიერ არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონის ყიდვა (28 მილიონ გირვანქად) გამხდარა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ამბის მიზეზი:

„ჩვენ ბაზარზე ცნობილი ვარსკვლავების საყიდლად არასდროს გავდიოდით და ამაში მადრიდის „რეალს" ვგავდით. შემდეგ, ორი წლის წინ რომ გამოვაცხადე, მუშაობას თავს უნდა დავანებო-მეთქი, შევიტყვე რომ როგორც პირადად ჩემს, ასევე გუნდის ირგვლივ ვითარება შეიცვალა. და აი, ვერონის ყიდვამ შეცვალა ყველაფერი. ეს ერთი მხრივ, გუნდის ხელახალი გაძლიერების განაცხადი იყო და მეორეც, მე დარჩენა მაფიქრებინა".

**ბაჩუნა ძიძია**

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კალენდარი

**IX ჯგუფი**

**იტალია**
**იუგოსლავია**
**ფინეთი**
**უელსი**
**აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| **7-8 სექტემბერი, 2002** | უელსი — აზერბაიჯანი |
| აზერბაიჯანი — იტალია | **1-2 აპრილი** |
| ფინეთი — უელსი | იუგოსლავია — უელსი |
| **12-13 ოქტომბერი** | **30 აპრილი** |
| იტალია — იუგოსლავია | აზერბაიჯანი — იუგოსლავია |
| ფინეთი — აზერბაიჯანი | **7 ივნისი** |
| **15-16 ოქტომბერი** | ფინეთი — იუგოსლავია |
| უელსი — იტალია | **11 ივნისი** |
| იუგოსლავია — ფინეთი | ფინეთი — იტალია |
| **20 ნოემბერი** | იუგოსლავია — აზერბაიჯანი |
| აზერბაიჯანი — უელსი | **6-7 სექტემბერი** |
| **29-30 მარტი, 2003** | აზერბაიჯანი — ფინეთი |
| იტალია — ფინეთი | იტალია — უელსი |
| | **10 სექტემბერი** |
| | უელსი — ფინეთი |
| | იუგოსლავია — იტალია |
| | **11 ოქტომბერი** |
| | იტალია — აზერბაიჯანი |
| | უელსი — იუგოსლავია |


**იყიდება სასწრაფოდ!**

შავი ანტიკვარული
როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო,
მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით.
ფასი შეთანხმებით



**ტელ: 22-23-15**

*რა ხდება ბოლოს და ბოლოს ფიფაში? გასაგებია, რომ ფეხბურთის მოყვარულს საქართველოში, ნორვეგიაში თუ ურუგვაიში მხოლოდ მოედნებზე დატრიალებული ამბები აინტერესებს, ფინტების, გოლების და პასების ხილვა სურს, ჰალსტუხიან ბობოლათა მაქინაციები კი, ალბათ, უფრო აღიზიანებს, მაგრამ თუ ჰალსტუხიან ბობოლათა გამო მსოფლიო ფეხბურთის სისტემაში რაიმე მოირყა, მაშინ შესაძლოა აწყობილ, შეჩვეულ და საყვარელ შეჯიბრებათა საქმეებიც ცუდად წავიდეს*



# ბლატერი და ოცდაოთხი

## პრეზიდენტმა ოპოზიციას 250 მილიონი $ ესროლა

**პერძოდ** კი აი, რას ვგულისხმობთ: მოგეხსენებათ დედამიწაზე საფეხბურთო საქმეებს ფიფა მართავს და მის პრეზიდენტს იოზეფ ბლატერი ჰქვია. მაგრამ ბლატერის გარდა ამ ორგანიზაციაში სხვა ხალხიც მუშაობს და ისინი სხვადასხვა სტრუქტურებში გახლავან განაწილებულნი. ფიფას ერთ-ერთი უმთავრესი ორგანო აღმასკომია, რომელშიც 24 ადამიანი მონაწილეობს და ისინი დღეს პრეზიდენტი ბლატერის ოპოზიციად არიან შეკრულნი. ოპოზიციას სამი გამორჩეული ლიდერი ჰყავს: უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი ისე ჰაიატუ და ფიფას ვიცე-პრეზიდენტი ჩანგ მონგჯუნი. ეს სამეული და მისი მხარდამჭერნი ამტკიცებენ, რომ ფიფას საპრეზიდენტო არჩევნების დროს ბლატერმა ხმათა ყიდვის მეთოდით გაიმარჯვა, ხოლო შემდეგ ორგანიზაცია საშინელ ფინანსურ კრიზისში შეიყვანა და ამ კრიზისს ყოველმხრივ მალავს. ერთი სიტყვით, ოპოზიციის მტკიცებით ფიფაში კორუფციამ წარმოუდგენლად გაიდგა ფესვები და შესაძლოა იმაზე დიდ სკანდალთანაც გვქონდეს საქმე, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს 1999 წელს რომ ჰქონდა.

რა ფინანსურ კრიზისზეა საუბარი? ცნობილია, რომ ფიფას სამარკეტინგო პარტნიორი, შვეიცარიული კორპორაცია ISL გაკოტრდა, მაგრამ ამ საეჭვო გაკოტრებამ რა ზარალი დაუტოვა მსოფლიო ფეხბურთს, დამალულია. ოპოზიციის მტკიცებით, ზარალი 500 მილიონ შვეიცარიულ ფრანკზე მეტია, ბლატერი კი 50 მილიონს ამბობს.

საერთოდ, ბლატერი ამ საკითხებში საჯაროობის მოწინააღმდეგეა. ის ამტკიცებს, რომ ფართო საზოგადოებრიობისთვის ფიფაში შექმნილი პრობლემების ცოდნა სასურველი არ არის, რადგან ეს ხმაურს გამოიწვევს, ხოლო ხმაური ფეხბურთს დააზარალებს — აქ მორალურ და მატერიალურ ზარალზეა ლაპარაკი. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ბლატერი ამბობს, საპანიკო არაფერია და ოჯახური დავა ოჯახშივე უნდა გადაწყდესო.

ოჯახურია ეს დავა თუ არა, კაცმა არ იცის, მაგრამ ბლატერს მხარდამჭერები მრავლად რომ ჰყავს, ფაქტია. მხარდამჭერები კი თურმე იმიტომ არიან მხარდამჭერები, რომ ფიფას პრეზიდენტი მთელი რიგი ქვეყნებისთვის წელიწადში 250 მილიონი დოლარის გაღებას აპირებს, ხოლო ამ ქვეყნების გვარიანი ნაწილისთვის 2,5 მილიონიც ქონიანი ლუკმაა. ბლატერი ამბობს, რომ მას მხარს ულაპარაკოდ უჭერს 54 ქვეყანა (ალბათ, 250-მილიონიანი მეგობრები) და თუ გაჭირდა, ერთი ამდენსაც „გამოიყვანს".

სულ ფიფაში 204 ფეხბურთის ფედერაციაა გაწევრიანებული და ორჯერ 54-ის მხარდაჭერით შეგულიანებული პრეზიდენტი ოპოზიციას რიგგარეშე ყრილობის მოწვევით ემუქრება. ის ამბობს, რომ რაც უფრო ხშირად ლანძღავენ მას და რაც უფრო ხშირად ხვდება გაზეთების ფურცლებზე, მით უფრო პოპულარული და ძლიერი ხდება. მეტიც, ბლატერმა ასეთი ფრაზაც თქვა: „მორჩა და გათავდა, მოწინააღმდეგეები ვერას დამაკლებენ".

ამასობაში კი ახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც, მოგეხსენებათ აზიაში, მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე უნდა ჩატარდეს. ბუნებრივია, უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული ეჭვიც, მაგრამ ბლატერი ამ ფრონტზეც დამამშვიდებელ სიტყვებს გვეუბნება:

„პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის სიტყვებს ყურს არ ვათხოვებ. დღევანდელ პირობებში მთავარი ხალხის გულისთქმაა".

სხვათა შორის, ფიფას პრეზიდენტი გაზეთ „დეილი მეილის" რედაქტორთან აპირებს შეხვედრას. მოგეხსენებათ, რომ „დეილი მეილი" ის გაზეთია, სადაც პირველად დაიბეჭდა მისი მამხილებელი (თავად ცხადია, შეთითხნილს უწოდებს) წერილები.

**ბაჩუნა ძიძია**



ინგლისური „არსენალის" ჰოლანდიელმა ლეგიონერმა დენის ბერხკამპმა უარყო ხმები კლუბიდან მისი შესაძლო წასვლის შესახებ. „ჯერჯერობით კლუბის გამოცვლას არ ვაპირებ. მართალია, გარკვეული მიზეზების გამო ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვერ ვხვდები, მაგრამ კონტრაქტის ბოლომდე მაინც „არსენალში" დავრჩები" — განაცხადა ბერხკამპმა. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელს კონტრაქტი 2003 წლამდე აქვს.

**შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა არ დააკმაყოფილა გლაზგოს „სელტიკის" აპელაცია და ფრანგ მცველ ბობო ბალდეს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ძალაში დაუტოვა. შეგახსენებთ, რომ ბალდე „ჰიბერნიანთან" მატჩში პოლ ფენვიკთან ინციდენტის გამო დასაჯეს.**

ფრანგული პრესის ცნობით, პირველი დივიზიონის კლუბებს შორის ყველაზე დიდი ვალი „მარსელსა" და პსჟ-ს აქვთ. მათ გვერდით ასახელებენ „რენსა" და „მეცს". 2001 წელს საერთო დეფიციტმა პირველ დივიზიონში 297 მილიონ ევროს გადააჭარბა. პსჟ-ს პრეზიდენტ ლორან პერპერის თქმით, მისი კლუბის ვალი 45,7 მილიონი ევროა, 2000 წლის 108,2 მილიონ ევროსთან შედარებით კი ეს კარგი მაჩვენებელია. რაც შეეხება „რენს", მისი დავალიანება 25 მილიონ ევროს შეადგენს, ხოლო „მეცის" — 4,5 მილიონს.

**გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, „ბაიერნის" განელი მცველი სამუელ კუფური ექვს მატჩს გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ ქვეყნის თასის ნახევარფინალში, „შალკესთან", კუფური იორგ ბიომეს ეუხეშა და მსაჯმა წითელი ბარათიც აუფრიალა.**

იტალიური „ინტერი" კლუბის ისტორიაში უდიდესი ტრანსფერის განხორციელებას აპირებს — მილანური კლუბი ინგლისურ „არსენალს" 160 მილიონ ევროს სთავაზობს ფრანგების — ტიერი ანრის, რობერ პირესისა და პატრიკ ვიეირას სანაცვლოდ. მოლაპარაკება ჯერ არ დაწყებულა.

**საფრანგეთის ნაკრებისა და „ბორდოს" თავდამსხმელი კრისტოფ დიუგარი „ოსერთან" მატჩში დაშავდა და ერთი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. კლუბის გარდა ფეხბურთელი ვერც ეროვნულ გუნდს დაეხმარება შოტლანდიასთან ამხანაგურ მატჩში, რომელიც 27 მარტს გაიმართება.**

გერმანული „მიონხენგლადბახისა" და დანიის ნაკრების ნახევარმცველმა პეტერ ნილსენმა ბუნდესლიგის ბოლო ტურში „დორტმუნდთან" მატჩში მარჯვენა ფეხის კოჭი მოიტეხა და მინიმუმ ექვსი კვირით ვერ შეძლებს თამაშს.

**იტალიური „რომას" პრეზიდენტ ფრანკო სენსის თქმით, ბრაზილიელი მცველი ალდაირი კლუბს სეზონის ბოლოს დატოვებს. „ალდაირი ჩემი მეგობარია. მას უდიდეს პატივს ვცემ. ძალიან ვწუხვარ, რომ იგი ორიოდ თვეში დაგვტოვებს, მაგრამ ეს გარდაუვალი იყო" — თქვა სენსიმ. 36 წლის ფეხბურთელმა „რომაში" 11 სეზონი ჩაატარა, მანამდე კი პორტუგალიურ „ბენფიკაში" უთამაშია. ახლა ალდაირს სამშობლოში დაბრუნება და კარიერის „ფლამენგოში" დასრულება სურს.**

გერმანული „ბაიერნი" ფრანგ ლეგიონერებთან, ვილი სანიოლთან და ბიქსენტ ლიზარაზუსთან კონტრაქტის გაგრძელებას აპირებს. „ისინი გუნდს კარგად შეეწყვნენ და დაცვაში პრობლემები მოაგვარეს, ამიტომაც კონტრაქტს გავუგრძელებთ" — განაცხადა „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ. შეგახსენებთ, რომ შარშან ზაფხულს ლიზარაზუს გადაბირებას ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" ცდილობდა, თუმც ფრანგმა „ბაიერნში" დარჩენა ამჯობინა.

**საბერძნეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ქსანთი" — „ოლიმპიაკოსის" მატჩის შემდეგ, გულშემატკივართა შეხლა-შემოხლისას ცხრა ადამიანი დაჭრეს, ხოლო რვა დააპატიმრეს. შეგახსენებთ, რომ მატჩი სტუმართა გამარჯვებით, 2:1 დასრულდა. არეულობა კი მასპინძელ ქომაგთა გაავებამ გამოიწვია.**

ესპანური „რეალის" პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა დაადასტურა, რომ ინგლისური „ლივერპულის" თავდამსხმელის მაიკლ ოუენის გადაბირება სურს. პერესის თქმით, ოუენი და ბექჰემი ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელები არიან, მაგრამ „მანჩესტერის" კაპიტანი მას არ აინტერესებს. „ჩვენი მიზანია, ყოველ წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი შევიძინოთ" — განაცხადა პერესმა.

**ინგლისური „ლივერპულის" შოტლანდიელმა ნახევარმცველმა გარი მაკალისტერმა ნაკრებში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. 37 წლის ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში უკვე ორი წელია, არ უთამაშია, თუმც სქოთთა ახალმა თავკაცმა, გერმანელმა ბერტი ფოგტსმა მისი დაყაბულება გადაწყვიტა და, როგორც ჩანს, გამოუვიდა კიდეც. „ბერტის აუცილებლად შევხვდები. ძალიან მაინტერესებს, რას მეტყვის. თუ შემიძლია, გუნდს რამეთი დავეხმარო, დავთანხმდები" — თქვა მაკალისტერმა.**

ლიბერიის ერთ-ერთმა საუკეთესო მწვრთნელმა ჯოკერ რიჩერმა სამშობლო დატოვა. „მე იძულებული ვიყავი, ლიბერია დამეტოვებინა. აქ ცხოვრება საშიშია. ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს ჟორჟ ვეასთან. ამიტომ შესაძლოა, ჩემს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს" — განაცხადა რიჩერმა. შეგახსენებთ, რომ ჟორჟ ვეამ ქვეყნის ხელისუფლება დაგმო და ამის გამო ნაკრებში თამაშზეც უარი განაცხადა. სავარაუდოდ, ჯოკერ რიჩერი ნიგერიულ „იობე სტარზს" ჩაუდგება სათავეში.

**საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩი „მარსელი" — „ოსერი" ავდრის გამო 57-ე წუთზე შეწყდა. ამ დროისთვის მასპინძლები 1:0 იგებდნენ, თუმც არბიტრმა მატჩის გაგრძელება მიზანშეუწონლად მიიჩნია. ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, შეხვედრის გადათამაშება 22 აპრილს დაინიშნა.**

ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი მარკ ვოტი მომავალი სეზონიდან „ტილბურგს" ჩაუდგება სათავეში. ამჟამად კლუბს ჰანს ვესტერჰოფი წვრთნის, თუმც მას სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და ხელმძღვანელობამაც აქედანვე დაიჭირა თადარიგი. მართალია, მარკ ვოტი ოფიციალურად ჯერაც არ დანიშნულა „ტილბურგის" მთავარ მწვრთნელად, მაგრამ ის უკვე შეუდგა მუშაობას და ბოლო ტურში „ნაიმეგენთან" 0:3 წაგებულ მატჩსაც დაესწრო. „ტილბურგში" 41 წლის ვოტთან ერთად ნაკრებში მისი თანაშემწე ენდრიუ ვესელსიც იმუშავებს.



არიელ ორტეგა

# რივერმა ბოკა მოსპო

## ორტეგამ არგენტინა დაჯავშნა

### არგენტინა

#### კლაუსურა

**მე-6 ტური: ინდეპენდიენტე — კოლონი 0:1; ურაკანი — ტალერესი 0:1; ნიუელს ოლდ ბოიზი — სან ლორენსო 1:4;ველეს სარსფილდი — ხიმნასია (ლა პლატა) 1:2; ბანფილდი — ჩაკარიტა ხუნიორსი 1:0; ბოკა ხუნიორსი — რივერ პლეიტი 0:3; ნუევა ჩიკაგო — ლანუსი 1:1; ესტუდიანტესი — არგენტინოს ხუნიორსი 2:1; ბელგრანო — რასინგი 0:1; უნიონი — როსარიო სენტრალი 3:1**

**„რივერ პლეიტმა"** კიდევ უფრო გაიმაგრა კლაუსურას ლიდერის პოზიცია მას შემდეგ, რაც თავისი ისტორიული მეტოქე „ბოკა ხუნიორსი" გაანადგურა ბოკელთავე „ლა ბომბონერაზე". „რივერმა" 3:0 მოიგო და ექვსი ტურის შემდეგ ხუთი ქულით უსწრებს უახლოეს მდევარ „ხიმნასია ლა პლატას". ამ ექვსი თამაშიდან მილიონერებმა („რივერის" მეტსახელია) ხუთი მოიგეს და არ წაუგიათ.

„ბოკა", რომელიც ახლა მეშვიდე ადგილზეა და ბოლო წლებში ლიბერტადორესის თასის ფლობით თუ მოიწონებს თავს, თავისი ლიდერის, დაშავებული ხუან რომან რიკელმეს გარეშე თამაშობდა.

მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ დერბიში ანგარიში 26-ე წუთზე გახსნა ესტებან კამბიასომ, რომელმაც არიელ ორტეგას ჩაწოდებული ბურთი ახლო კუთხიდან შეაგდო კარში.

რიკელმეს დუბლიორი ვალტერ გაიტანი ორჯერ ახლო იყო მიზანთან, „ბოკას" ცხელ გულზე შეეძლო გათანაბრება.

თავსხმა წვიმაში მიმდინარე ამ შეხვედრაში მასპინძლებს ლიახაც, ეკუთვნოდათ გოლი, მაგრამ ტაიმის მიწურულს კვლავ სტუმრებმა გაიტანეს: ორტეგა - ვიქტორ საპატა - ფერნანდო კავენაგის გათამაშებული კონტრშეტევა ედუარდო კუდეტმა დააგვირგვინა.

თვრამეტი წლის კავენაგიმ, რომელიც რვა გოლით კლაუსურას მთავარი მეგოლეა, მეორე ტაიმში ხარიხა დააზანზარა, კვლავდაკვლავ ორტეგას ჯადოსნური პასის შემდეგ. ამასობაში კი ორტეგა ულაპარაკოდ იჩენება ნაკრების ძირითადში მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატზე.

„რივერმა" კი „ბოკას" მორიგ დაწოლას გაუძლო, რომლის დროსაც მარსელო დელგადომ ასევე ძელს მოარტყა ბურთი და კიდევ ერთი გაიტანა: პარაგვაელმა მცველმა რიკარდო როხასმა ზღაპრული სილამაზის გოლით დასვა წერტილი ბაირესულ დერბიში. როხასმა კედელი გაითამაშა კამბიასოსთან და მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი.

„ბოკასთვის" საშინელი საღამო იმით დასრულდა, რომ კრისტიან ტრავერსოსაც წითელი აუფრიალეს უხეში თამაშისთვის.

„რივერი" პირველზეა, „ნიუელს ოლდ ბოიზი" მეორედან მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა, რაზან 1:4 წააგო „სან ლორენსოსთან", ხოლო „ხიმნასია ლა პლატამ" „ველეს სარსფილდი" დაამარცხა, 2:1. ამასობაში ზედიზედ მესამედ მოიგო წლევანდელი აპერტურას ჩემპიონმა „რასინგმა", რომელიც მეოთხე ადგილზე აცოცდა.

**ირაკლი ბაზურელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 6 | 5 | 1 | 0 | 19:3 | 16 |
| ხიმნასია | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| სან ლორენსო | 6 | 3 | 1 | 2 | 11:6 | 10 |
| რასინგი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 10 |
| ბანფილდი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 10 |
| ოლდ ბოიზი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:12 | 10 |
| ბოკა ხუნიორსი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:8 | 9 |
| ურაკანი | 6 | 3 | 0 | 3 | 7:7 | 9 |
| ინდეპენდიენტე | 6 | 3 | 0 | 3 | 7:8 | 9 |
| ტალერესი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:8 | 9 |
| ველეს სარსფილდი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:8 | 8 |
| უნიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 10:14 | 8 |
| კოლონი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 7 |
| ესტუდიანტესი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:12 | 7 |
| ლანუსი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| ბელგრანო | 6 | 2 | 0 | 4 | 5:8 | 6 |
| ჩაკარიტა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| ნუევა ჩიკაგო | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | 5 |
| არგ. ხუნიორსი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| როსარიო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | 4 |





**იყიდება**

სამოთახიანი სუფთა ბინა
დიდი ზალით,
დიდი სამზარეულოთი და
ორი საძინებელი ოთახით
(მუდმივი დენი)

ცოტნე დადიანის ქუჩა. ტელ: 69-89-56 (საღამოს), 39-48-29 (დილით). კახა

# მსოფლიოს ჩემპიონატი

## B ჯგუფი: ესპანეთი, სლოვენია, პარაგვაი, ს.აფრიკა



ფართობი: 504 750 კმ²
მოსახლეობა: 39 900 000
დედაქალაქი: მადრიდი
ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1913 წელს
ფიფას წევრი 1904 წლიდან
უეფას წევრი 1954 წლიდან
ფედერაციის პრეზიდენტი: ანხელ მარია ვილიარ ლიონა
გენერალური მდივანი: ხერარდო გონსალეს ოტერო
სტადიონი: „მესტალია" (55 000) „სანჩეს პისხუანი" (55 000)
მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო
კაპიტანი: ფერნანდო იერო
ფორმა: წითელი მაისურა, ლურჯი ტრუსი, ლურჯ-წითელი გეტრები
ტიტულიანი კლუბები: „რეალი", „ბარსელონა", „ბილბაო", „ატლეტიკო", „ვალენსია", „სარაგოსა", „ესპანიოლი", „სევილია", „დეპორტივო"
ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში: 7




## არის ასეთი ქვეყანა

„ერთიანი, დიადი, თავისუფალი" — ეს ესპანეთის დევიზია, თუმც ახლოდან თუ მოეჩხრეკთ, მხოლოდ თავისუფლება შეგვრჩება, რადგან სიდიადე წარსულმა შთანთქა კოლონიებთან ერთად, ერთიანობა კი არც არასდროს ჰქონია. აბა, უთხარით ბასკს ან კატალონიელს, ესპანელი ხარო და მიხვდებით, რომ ჯობდა, შეგეგინებინათ. ისინი ნაღდ ესპანელებს, ანუ კასტილიელებს ალმაცერად უყურებენ და შიგადაშიგ ბომბებსაც ესვრიან. უფრო სწორად, ბასკები ესვრიან და ამას თავისი მიზეზი აქვს.

საქმე ისაა, რომ კატალონია ესპანეთის ყველაზე მდიდარი რეგიონია და ბომბების ფეთქება თავისივე სიმდიდრისა და კეთილდღეობის ხელყოფა იქნებოდა. აი, ბასკების მთავარი სიმდიდრე კი ბომბებია და დაუნანებლად აფეთქებენ. ეგებ ისიც გახსოვდეთ, შარშან ტერორისტულმა ორგანიზაცია ეტა-მ ბიქსენტ ლიზარაზუს რომ შეუთვალა, ნუ დაივიწყებ, ვისი გორისა ხარო და „რევოლუციური გადასახადის" შეწირვა დაუპირა.

ისე, ბასკებიც იყოფიან „კარგებად" და „ცუდებად". ყველაზე „კარგები" ბილბაოელები არიან, „ცუდები" კი სანსებასტიანელები, რადგან იქ ათასი ჯურის ხალხი ირევა და ბასკობაზე და დამოუკიდებლობაზე ნაკლებად ფიქრობენ.

დამოუკიდებლობაზე სულაც არ ფიქრობენ გალისიელები, მაგრამ ესპანელებს ისინი მაინცდამაინც არ უყვართ, თქვე პორტუგალიელებოო, ეძახიან — პორტუგალიელებს კი ესპანეთში სულაც არ აფასებენ.

ბიორგი დარჯანია



# კამაჩოს ცალი ყბა

უცნაური გუნდია ესპანეთის ნაკრები. მსოფლიოში ძლიერი გუნდის სახელი აქვს დაგდებული, მუდამ ფავორიტთა შორის ტრიალებს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ვერაფერს იგებს. 1964 წელს ესპანელები ევროპის ჩემპიონები გახდნენ, მადრიდში 2:1 მოუგეს საბჭოთა კავშირს, ოღონდ შევნიშნოთ, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" იმ ფინალს თვით გენერალისიმუსი ფრანკო ესწრებოდა და წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა ესპანელებს რომ ვერ მოეგოთ. კიდევ რა? 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალისტობა და შორეული 1950 წლის მსოფლიოს პირველობის ნახევარფინალისტობა — ესპანელთა მონაგარიც სულ ესაა. მუნდიალების სამზის მეოთხედფინალისტობა კი ასეთი ამბიციური გუნდისთვის სათვალავში ჩასაგდები არც არის.

| 5 | ქსანთი ქსანთი (8) | 1:2 | 1:1 | 1:2 | 1:0 | | 4:1 | | 1:0 | 3:1 | 4:2 | | | 3:0 | 2:0 | 19 | 9 | 6 | 4 | 29:18 | 33 | 7 | 1 | 2 | 21:9 | 22 | 2 | 5 | 2 | 8:9 | 11 |
| 6 | ირაკლისი სალონიკი (5) | 1:1 | 3:2 | 2:1 | 3:1 | 1:1 | | | | | 2:0 | 3:0 | 0:0 | 1:1 | | 19 | 7 | 7 | 5 | 24:24 | 28 | 5 | 4 | 0 | 16:7 | 19 | 2 | 3 | 5 | 8:17 | 9 |
| 7 | ოფი კრეტა (11) | 1:1 | 0:1 | 0:1 | | 0:1 | 1:0 | | : | 0:0 | | 4:0 | 2:0 | 1:0 | 2:2 | 19 | 7 | 5 | 7 | 22:23 | 26 | 4 | 3 | 3 | 11:6 | 15 | 3 | 2 | 4 | 11:17 | 11 |
| 8 | არისი სალონიკი (7) | | | 0:0 | 2:3 | 1:1 | 1:1 | 1:0 | | | 1:0 | 1:0 | 4:2 | | 1:1 | 19 | 6 | 7 | 6 | 20:20 | 25 | 4 | 4 | 1 | 12:8 | 16 | 2 | 3 | 5 | 8:12 | 9 |
| 9 | პანიონიოსი პანიონიოსი (9) | 3:1 | 2:6 | 2:2 | 1:1 | | 0:1 | 1:1 | 1:0 | | | 2:2 | | 2:2 | 2:1 | 19 | 6 | 7 | 6 | 27:29 | 25 | 3 | 5 | 2 | 16:17 | 14 | 3 | 2 | 4 | 11:12 | 11 |
| 10 | ეგალეო (დ) | 3:4 | 1:3 | | 2:1 | | 2:1 | 0:0 | 0:0 | 0:1 | | 2:2 | 1:0 | | 2:1 | 19 | 5 | 3 | 11 | 21:37 | 18 | 4 | 3 | 3 | 13:13 | 15 | 1 | 0 | 8 | 8:24 | 3 |
| 11 | იონიკოსი ნიკეა პირეასი (6) | 0:2 | 1:2 | 0:2 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 1:0 | 1:1 | : | | | 2:1 | | 19 | 3 | 6 | 10 | 14:35 | 15 | 2 | 4 | 3 | 8:11 | 10 | 1 | 2 | 7 | 6:24 | 5 |
| 12 | ეთნიკოსი პირეოსი (10) | 2:4 | 2:0 | | | 0:0 | 1:2 | 2:3 | 2:2 | 0:2 | | 1:0 | | 2:1 | 1:1 | 19 | 3 | 5 | 11 | 16:27 | 14 | 3 | 3 | 4 | 13:15 | 12 | 0 | 2 | 7 | 3:12 | 2 |
| 13 | აჰარნაიკოსი (დ) | 2:3 | : | 0:0 | 1:2 | 2:0 | | 1:2 | 0:1 | 1:4 | 0:1 | | 1:0 | | 3:1 | 19 | 3 | 4 | 12 | 17:30 | 13 | 3 | 1 | 6 | 11:14 | 10 | 0 | 3 | 6 | 6:16 | 3 |
| 14 | პანაჰაიკი პატრა (13) | | 0:1 | 0:0 | 3:3 | 1:3 | 1:1 | 1:2 | | : | 5:3 | 0:2 | 0:0 | 1:1 | | 19 | 1 | 8 | 10 | 19:41 | 11 | 1 | 5 | 4 | 12:16 | 8 | 0 | 3 | 6 | 7:25 | 3 |

## ბელგია. პირველი დივიზიონი. 2001-02. XXVII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტები | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.03.02 | 21.00 | 241 | 1:2ლუვიე; ანტვერპენი5:0; 1:1ბევერენი **შარლერუა** V **ანდერლეხტი** ლომელი2:0; 2:2გენტი; აალსტი3:1 | 3,6 | 3,3 | 1,8 | | | | 1:2 | 2:7 0:4 | 0:3 1:1 | 1:1 0:2 |
| 16.03.02 | 23.00 | 242 | 0:0ანტვერპენი; ბევერენი4:1; 1:1ლოკერენი **სტანდარდი** V **ლუვიე** შარლერუა2:1; 0:3ლომელი; გენტი3:1 | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1,7 | 3,2 | 3,2 | 1:3 | 3:0 4:0 | - | - |
| 16.03.02 | 23.00 | 244 | 0:2ანდერლეხტი; ლუვიე3:0; 3:3ანტვერპენი **ლომელი** V **გენკი** გენტი2:1; 0:0აალსტი; ბრიუგე3:2 | 3,6 | 3,1 | 1,9 | | | | 2:4 | - | 0:1 2:1 | 0:6 0:3 |
| 16.03.02 | 23.00 | 245 | 1:2გენკი; ანდერლეხტი2:2; 1:3ლუვიე **გენტი** V **ლიერსი** აალსტი3:1; 1:3ბრიუგე; ბეერსხოტი1:1 | 1,45 | 3,5 | 7,0 | 2,0 | 3,2 | 2,3 | 2:1 | 2:3 0:2 | 1:2 2:0 | 2:1 1:0 |
| 16.03.02 | 23.00 | 247 | 2:3ბრიუგე; მუსკრონი2:2; 1:1ლიერსი **ბეერსხოტი** V **ვესტერლო** მუსკრონი0:2; 0:2სენტ ტრუიდენი; მოლენბეკი4:0 | 1,6 | 3,4 | 5,0 | | | | 2:1 | 3:1 2:1 | 3:2 2:3 | 0:3 4:2 |
| 16.03.02 | 23.00 | 248 | 2:0ვესტერლო; 2:2ბეერსხოტი; სენტ ტრუიდენი3:0 **მუსკრონი** V **ლოკერენი** სენტ ტრუიდენი0:1; 0:1მოლენბეკი; სტანდარდი1:1 | 1,9 | 3,0 | 3,8 | | | | 1:2 | 2:1 1:2 | 2:3 0:0 | 0:0 5:1 |
| 17.03.02 | 18.00 | 249 | 1:0ლოკერენი; ვესტერლო2:0; 0:3მუსკრონი **სენტ ტრუიდენი** V **ბევერენი** მოლენბეკი1:3; 1:4სტანდარდი; შარლერუა1:1 | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1,9 | 3,2 | 2,6 | 2:3 | 0:0 1:0 | 0:2 4:3 | 1:0 1:1 |
| 17.03.02 | 18.00 | 251 | 3:1ბევერენი; ლოკერენი1:0; 0:4ვესტერლო **მოლენბეკი** V **ანტვერპენი** სტანდარდი0:0; 0:5შარლერუა; ლომელი3:3 | 1,8 | 3,3 | 3,6 | | | | 2:1 | - | - | - |
| 17.03.02 | 23.00 | 252 | 1:3ლიერსი; გენკი0:0; 1:3ანდერლეხტი **აალსტი** V **ბრიუგე** ბეერსხოტი3:2; ლიერსი3:1; 2:3გენკი | 6,5 | 4,0 | 1,4 | | | | 0:3 | 0:2 1:1 | 0:2 0:3 | 0:2 0:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრიუგე (2) | | 1:2 | 1:0 | 1:3 | | | 2:4 | 2:0 | 3:2 | | 3:1 | | 4:2 | 2:1 | 3:1 | 4:1 | 3:0 | 6:1 | 26 | 19 | 1 | 6 | 63:32 | 58 | 10 | 0 | 3 | 35:18 | 30 | 9 | 1 | 3 | 28:14 | 28 |
| 2 | გენკი (11) | 3:2 | | : | 1:1 | 2:1 | | | 2:2 | 4:4 | | 4:2 | | 2:0 | 5:1 | 4:2 | 2:1 | 5:0 | 5:1 | 25 | 15 | 9 | 1 | 67:33 | 54 | 9 | 3 | 0 | 39:17 | 30 | 6 | 6 | 1 | 28:16 | 24 |
| 3 | ანდერლეხტი ბრიუსელი (1) | 1:0 | 3:3 | | | 2:0 | 4:2 | 0:0 | | 1:0 | 2:1 | 2:0 | 2:2 | | 5:2 | 7:1 | 3:0 | 3:1 | | 25 | 15 | 7 | 3 | 58:27 | 52 | 10 | 3 | 0 | 35:12 | 33 | 5 | 4 | 3 | 23:15 | 19 |
| 4 | სტანდარდი ლიეჟი (3) | | | 1:0 | | | 2:1 | 0:2 | 1:3 | 3:0 | 6:0 | 2:1 | 2:1 | 2:2 | : | 2:1 | 4:2 | 2:0 | 4:1 | 25 | 13 | 7 | 5 | 47:29 | 46 | 10 | 1 | 2 | 31:14 | 31 | 3 | 6 | 3 | 16:15 | 15 |
| 5 | გენტი (5) | 2:2 | 0:0 | 2:2 | 2:5 | | 1:1 | 1:1 | 4:2 | | | 0:0 | | 4:1 | 2:1 | : | 3:3 | | 2:1 | 26 | 12 | 8 | 6 | 45:38 | 44 | 4 | 7 | 1 | 23:19 | 19 | 8 | 1 | 5 | 22:19 | 25 |
| 6 | ექსელსიორ მუსკრონი (7) | 2:0 | 2:4 | | 2:0 | 0:1 | | : | 3:0 | 3:1 | 0:1 | 1:0 | 4:1 | 1:2 | 2:0 | | | 6:1 | 3:0 | 26 | 13 | 4 | 9 | 54:32 | 43 | 9 | 0 | 4 | 29:11 | 27 | 4 | 4 | 5 | 25:21 | 16 |
| 7 | ლოკერენი (4) | 0:1 | 2:2 | | 1:1 | 0:1 | 2:1 | | 0:1 | 3:2 | 1:0 | 1:0 | 4:0 | | 2:2 | 2:1 | | 1:0 | 1:0 | 26 | 12 | 7 | 7 | 35:25 | 43 | 8 | 3 | 3 | 20:12 | 27 | 4 | 4 | 4 | 15:13 | 16 |
| 8 | სენტ ტრუიდენი (13) | | | 0:2 | 1:1 | 0:1 | 1:2 | 1:0 | | 2:2 | 2:1 | 4:3 | 1:2 | 2:0 | | 0:2 | 3:1 | 3:1 | : | 26 | 11 | 4 | 11 | 36:36 | 37 | 6 | 2 | 5 | 20:18 | 20 | 5 | 2 | 6 | 16:18 | 17 |
| 9 | ჟერმინალ ბეერსხოტი ანტვერპენი (6) | 1:2 | 1:1 | 1:1 | : | 3:2 | 2:2 | | 1:0 | | | 3:0 | 2:2 | : | 8:2 | 2:0 | : | 4:0 | : | 25 | 8 | 10 | 7 | 48:38 | 34 | 7 | 4 | 1 | 30:12 | 25 | 1 | 6 | 6 | 18:26 | 9 |
| 10 | შარლერუა (9) | 0:4 | 0:3 | : | 0:0 | 0:3 | 0:2 | 1:0 | 0:3 | 1:0 | | | 3:1 | 4:2 | 2:1 | | 5:0 | | 1:1 | 26 | 9 | 5 | 12 | 30:46 | 32 | 6 | 2 | 5 | 17:20 | 20 | 3 | 3 | 7 | 13:26 | 12 |
| 11 | ლომელი (დ) | | : | 2:2 | | | 3:2 | 3:4 | 0:1 | | 5 | | 1:0 | 3:0 | 3:0 | 2:2 | 2:2 | 1:1 | 3:1 | 26 | 8 | 7 | 11 | 41:45 | 31 | 6 | 4 | 2 | 28:16 | 22 | 2 | 3 | 9 | 13:29 | 9 |
| 12 | მოლენბეკი ბრიუსელი (დ) | 2:3 | 2:5 | | 2:1 | 0:1 | 1:1 | 1:0 | 1:2 | 2:2 | 0:1 | 0:1 | | 0:1 | 1:0 | | : | | 3:0 | 26 | 9 | 4 | 13 | 35:46 | 31 | 4 | 2 | 7 | 15:18 | 14 | 5 | 2 | 6 | 20:28 | 17 |
| 13 | ვესტერლო (8) | 1:4 | | 1:2 | 1:2 | 3:1 | 0:2 | 0:1 | 0:0 | 1:2 | 3:3 | 6:0 | 4:0 | | | 5:4 | 2:1 | 0:1 | | 26 | 8 | 5 | 13 | 42:49 | 29 | 5 | 2 | 7 | 27:23 | 17 | 3 | 3 | 6 | 15:26 | 12 |
| 14 | ლა ლუვიე (15) | 1:2 | 0:0 | 1:3 | 3:1 | 3:1 | | | 1:0 | 1:1 | 2:1 | 0:0 | | 3:3 | | 0:0 | | 1:3 | 3:2 | 26 | 6 | 8 | 12 | 30:49 | 26 | 5 | 5 | 3 | 19:17 | 20 | 1 | 3 | 9 | 11:32 | 6 |
| 15 | ლიერსი ლიერი (10) | 0:2 | 1:2 | 2:0 | | 1:2 | 3:3 | 1:1 | | 1:1 | 1:2 | | 1:2 | | 0:1 | | 2:1 | 3:1 | 3:3 | 26 | 6 | 7 | 13 | 40:50 | 25 | 3 | 4 | 6 | 19:21 | 13 | 3 | 3 | 7 | 21:29 | 12 |
| 16 | ანტვერპენი (12) | 1:2 | 3:0 | 2:2 | 0:0 | 2:3 | 2:1 | 1:1 | | | 2:0 | 3:3 | 1:2 | | 0:0 | 1:4 | | 2:0 | | 26 | 5 | 8 | 13 | 35:52 | 23 | 4 | 5 | 4 | 20:18 | 17 | 1 | 3 | 9 | 15:34 | 6 |
| 17 | ეენდრახტ აალსტი (16) | : | 0:0 | 1:5 | | 1:3 | 0:5 | 2:1 | | | 1:1 | | 2:4 | 0:1 | 0:0 | 0:2 | 0:0 | | 0:1 | 26 | 4 | 5 | 17 | 20:57 | 17 | 1 | 4 | 7 | 7:23 | 7 | 3 | 1 | 10 | 13:34 | 10 |
| 18 | ბევერენი (14) | 0:4 | 1:6 | 1:4 | 1:1 | 2:2 | | | 3:2 | 1:1 | 1:1 | 0:2 | 1:3 | 1:1 | | 1:1 | 2:3 | 0:4 | | 26 | 2 | 8 | 16 | 27:69 | 14 | 1 | 6 | 7 | 15:35 | 9 | 1 | 2 | 9 | 12:34 | 5 |

## ბელგია. მეორე დივიზიონი. 2001-02. XIX (გადადებული) ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტები | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.03.02 | 22.30 | 253 | 1:0სტრომბეკი; ვირტონი2:0; 3:1დაინცე **მონსი** V **რუზელარე** 1:1რონსი; დესელი1:1; 0:0ინგელმუნსტერი | 1,65 | 3,2 | 5,0 | | | | 1:0 | 4:0 0:1 | - | - |
| 16.03.02 | 22.30 | 254 | ჰეუსდენი0:0; ტიენენი2:2; 1:2სტრომბეკი **გეელი** V **დენდერლეეუ** 0:0ინგელმუნსტერი; 0:2ჰეუსდენი; სერკლი1:0 | 1,85 | 3,0 | 4,0 | | | | 0:1 | 0:4 2:0 | - | - |
| 16.03.02 | 23.00 | 255 | მეხელენი0:0; 2:0ვიზე; მონსი1:3 **დაინცე** V **ლიეჟი** პატრო1:0; 2:5მეხელენი; ვიზე1:2 | 2,3 | 3,0 | 2,9 | | | | 1:2 | 1:3 0:1 | - | - |
| 16.03.02 | 23.00 | 256 | ვიზე1:1; 0:2მონსი; ფლაანდერენი0:5 **ვირტონი** V **რონსი** რუზელარე1:1; 0:3პატრო; მეხელენი1:4 | 2,3 | 2,9 | 3,0 | | | | 0:1 | - | - | - |
| 17.03.02 | 18.00 | 257 | 1:1ვირტონი; დაინცე0:2; 2:1ლიეჟი **ვიზე** V **პატრო** 0:1ლიეჟი; რონსი3:0; 0:3დესელი | 1,7 | 3,3 | 4,2 | | | | 4:2 | - | 1:3 2:0 | - |
| 17.03.02 | 18.00 | 258 | 1:0ტიენენი; სტრომბეკი1:0; 5:0ვირტონი **ფლაანდერენი** V **სერკლი** 1:0დესელი; ინგელმუნსტერი5:1; 0:1დენდერლეეუ | 1,75 | 3,1 | 4,2 | | | | 0:0 | - | - | - |
| 17.03.02 | 18.00 | 259 | ფლაანდერენი0:1; 2:2გეელი; ჰეუსდენი1:1 **ტიენენი** V **ინგელმუნსტერი** დენდერლეეუ0:0; 1:5სერკლი; რუზელარე0:0 | 2,9 | 3,0 | 2,3 | | | | 0:3 | 2:1 2:2 | 1:4 0:1 | - |
| 17.03.02 | 18.00 | 260 | მონსი0:1; 0:1ფლაანდერენი; გეელი2:1 **სტრომბეკი** V **დესელი** სერკლი0:1; 1:1რუზელარე; პატრო3:0 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | 2:5 | 3:1 0:1 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეხელენი (დ) | | 3:0 | 2:3 | | 1:0 | 2:0 | 2:0 | 2:2 | 5:2 | 2:1 | 1:1 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 3:1 | | 1:0 | | 28 | 17 | 9 | 2 | 52:18 | 60 | 10 | 3 | 1 | 29:11 | 33 | 7 | 6 | 1 | 23:7 | 27 |
| 2 | ინგელმუნსტერი (6) | 2:1 | | 2:0 | 2:1 | 0:0 | 1:2 | 2:0 | 0:0 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 3:0 | | | 3:0 | 2:0 | 1:1 | 27 | 15 | 6 | 6 | 39:25 | 51 | 10 | 4 | 1 | 23:7 | 34 | 5 | 2 | 5 | 16:18 | 17 |
| 3 | მონსი (4) | | 2:3 | | | 2:2 | | 1:0 | : | 2:1 | 1:0 | 3:0 | 1:1 | 2:0 | 4:2 | 3:0 | | 3:0 | 2:0 | 27 | 14 | 7 | 6 | 43:27 | 49 | 9 | 2 | 1 | 26:9 | 29 | 5 | 5 | 5 | 17:18 | 20 |
| 4 | ზუიდ ვესტ ფლაანდერენი (დ) | 1:1 | 2:1 | 2:1 | | 1:1 | | : | 1:2 | 2:0 | 2:1 | | 1:0 | | 1:3 | 0:0 | 2:0 | | 1:0 | 27 | 13 | 7 | 7 | 34:29 | 46 | 7 | 3 | 2 | 16:10 | 24 | 6 | 4 | 5 | 18:19 | 22 |
| 5 | დესელ სპორტი (12) | 0:1 | | 2:2 | 0:1 | | 1:3 | 0:1 | 3:0 | | 5:1 | 0:2 | 5:2 | 3:0 | 3:2 | 1:1 | 3:1 | 3:0 | 3:0 | 27 | 12 | 8 | 7 | 49:27 | 44 | 8 | 2 | 5 | 32:17 | 26 | 4 | 6 | 2 | 17:10 | 18 |
| 6 | ჰეუსდენ ზოლდერი (11) | 1:1 | | 1:1 | 5:0 | | | 1:1 | 1:3 | 2:1 | 2:0 | 1:1 | 0:2 | | 4:1 | 1:1 | 0:3 | 0:0 | 1:1 | 28 | 10 | 13 | 5 | 40:28 | 43 | 4 | 7 | 3 | 20:16 | 19 | 6 | 6 | 2 | 20:12 | 24 |
| 7 | სერკლ ბრიუგე (7) | 1:1 | 5:1 | 2:0 | 0:0 | 1:0 | 2:2 | | 0:0 | 1:1 | 2:0 | 2:0 | | 1:2 | | | 0:0 | 2:0 | 2:1 | 27 | 10 | 11 | 6 | 31:21 | 41 | 7 | 6 | 1 | 21:8 | 27 | 3 | 5 | 5 | 10:13 | 14 |
| 8 | რუზელარე (8) | 0:0 | 1:3 | 0:1 | 0:2 | 1:1 | 0:0 | 1:1 | | | 1:0 | 0:0 | 4:1 | 0:1 | 1:1 | 3:0 | | 6:1 | | 27 | 8 | 12 | 7 | 35:29 | 36 | 4 | 6 | 4 | 18:12 | 18 | 4 | 6 | 3 | 17:17 | 18 |
| 9 | ლიეჟი (16) | 1:3 | | 1:0 | 1:0 | 0:0 | 1:2 | | 0:0 | | 0:0 | 2:1 | 1:0 | 1:2 | 2:1 | | 0:0 | 1:0 | 3:2 | 27 | 9 | 8 | 10 | 28:32 | 35 | 7 | 4 | 3 | 14:11 | 25 | 2 | 4 | 7 | 14:21 | 10 |
| 10 | დენდერლეეუ (9) | 0:2 | 1:0 | 2:1 | 0:0 | | 0:0 | 1:0 | 1:0 | | | 1:0 | 1:1 | 0:1 | 2:2 | 1:2 | 2:0 | 0:1 | | 27 | 8 | 8 | 11 | 21:29 | 32 | 6 | 4 | 4 | 12:10 | 22 | 2 | 4 | 7 | 9:19 | 10 |
| 11 | ვერბროედერინგ გეელი (5) | | 0:3 | | 0:1 | 2:4 | 0:0 | 2:0 | | 2:0 | : | | 3:0 | 1:0 | 2:0 | 1:4 | 2:2 | 2:1 | 1:1 | 27 | 8 | 7 | 12 | 31:37 | 31 | 6 | 3 | 4 | 18:16 | 21 | 2 | 4 | 8 | 13:21 | 10 |
| 12 | სტრომბეკი (10) | | 1:0 | 0:1 | 1:2 | : | 0:3 | 1:1 | | 1:3 | | 2:1 | | 3:2 | 2:2 | 3:1 | 3:1 | 1:2 | 1:0 | 27 | 8 | 6 | 13 | 32:45 | 30 | 6 | 2 | 5 | 19:19 | 20 | 2 | 4 | 8 | 13:26 | 10 |
| 13 | ვიზე (დ) | 0:3 | 1:1 | | 3:1 | 1:1 | 2:3 | 0:1 | 2:3 | 0:2 | 1:1 | | | | 0:2 | 1:0 | 1:0 | : | 1:1 | 27 | 8 | 5 | 14 | 28:44 | 29 | 3 | 4 | 6 | 13:19 | 13 | 5 | 1 | 8 | 15:25 | 16 |
| 14 | დაინცე (15) | 0:0 | 1:2 | 1:3 | 2:2 | | 0:3 | 1:1 | | : | | 1:1 | 3:1 | 2:0 | | 0:0 | 3:0 | 1:0 | 0:2 | 26 | 6 | 9 | 11 | 33:41 | 27 | 4 | 5 | 4 | 15:15 | 17 | 2 | 4 | 7 | 18:26 | 10 |
| 15 | რონსი (დ) | 1:4 | 0:1 | 1:1 | 2:2 | | | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 0:4 | 1:1 | 4:2 | : | | 0:0 | 4:0 | 1:0 | 27 | 5 | 12 | 10 | 28:40 | 27 | 3 | 8 | 3 | 17:18 | 17 | 2 | 4 | 7 | 11:22 | 10 |
| 16 | ტიენენი (13) | 0:0 | : | 1:1 | 0:1 | 1:4 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 2:2 | 3:1 | 2:0 | | 3:2 | 2:1 | | | 0:2 | 27 | 5 | 11 | 11 | 28:41 | 26 | 4 | 6 | 3 | 17:17 | 18 | 1 | 5 | 8 | 11:24 | 8 |
| 17 | პატრო მაასმეხელენი (14) | 0:3 | 1:1 | 0:1 | 3:0 | 0:2 | 1:0 | 0:3 | 4:3 | 1:1 | 0:1 | | | 2:4 | | 3:0 | 3:2 | | 1:1 | 27 | 7 | 4 | 16 | 24:48 | 25 | 5 | 3 | 6 | 19:22 | 18 | 2 | 1 | 10 | 5:26 | 7 |
| 18 | ექსელსიორ ვირტონი (დ) | 0:3 | | 1:1 | 0:5 | 0:2 | 1:1 | | 1:2 | 1:0 | 1:2 | 4:1 | 1:2 | 1:1 | : | : | 2:2 | | | 26 | 4 | 9 | 13 | 25:40 | 21 | 2 | 4 | 6 | 13:22 | 10 | 2 | 5 | 7 | 12:18 | 11 |


# გაიხსნა «კროკოს» ახალი ბიურო
## დიდი დიღომი, მეორე მიკრო რაიონი, იოანე პეტრიწის ქუჩა, კორპუსი №13

# რუსთა ძე და ოსთა ძე
## არ დაიდანდო, თემურ

**რუსული** პრემიერლიგის კლუბებში რვა ქართველი თამაშობს და ამიტომ წინა პარასკევს დაწყებული იქაური ჩემპიონატის ამბები ჩვენთვის ალბათ საინტერესო უნდა იყოს.

ამ რვიდან პირველ ტურში ჯანაშიას, ქოქიაშვილსა და ხმელიძეს არ უთამაშიათ. საჯაია ბოლოსკენ გამოჩნდა მინდორზე, ხოლო კაკაშვილმა და მჟავანაძემ დუბლებში მოსინჯეს ძალა. გამორჩეული „ლოკომოტივ" — „ალანიას" მატჩი იყო, ორივე გუნდის შეტევაში ხომ ქართველები იდგნენ, აქეთ დემეტრაძე, იქით იმედაძე. შეხვედრა რკინიგზელებმა მოიგეს ლეკხეტოს გოლით. ცუდი ამინდის მიუხედავად, რაღაცა მაინც გამოვიდა, ალა, წარმოიდგინეთ, სამი გრადუსი ყინვა იყო და ისეთი ქარი უბერავდა, ზოგჯერ მოთამაშეები ბურთს ვერც იმორჩილებდნენ.

ალანიელების ერთადერთი თავდამსხმელი იმედაძე გახლდათ. ქართველი ცდილობდა, მაგრამ ნახევარდაცვა ჯეროვნად ვერ ეხმარებოდა და მაინც მეკარე ოვჩინიკოვი სულ ორჯერ შეაწუხა. პირველი დარტყმა არცთუ ძლიერი გამოუვიდა, სამაგიეროდ, მერე დიდებულად შეასრულა საჯარიმო და ოვჩინიკოვი დაბალ კუთხეში ძლივს მისწვდა ბურთს. ალანებს იმედაძის ძალიან ეიმედებათ, სეზონისწინა მატჩებისას ის ტროლოვსკისთან ერთად 3 გოლით ვლადიკავკაზელთა საუკეთესო ბომბარდირი გახდა, ხოლო როცა გუნდის კაპიტან ომარ თეთრაძეს ჰკითხეს, ვინ იქნება წლევანდელი სეზონის აღმოჩენაო, ომარმა იმედაძე დაასახელა.

თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ დიდი ჟინით თამაშა რკინიგზელმა დემეტრაძემ. ზოგჯერ ბრძოლაში გაროთულს მეტიც მოსდიოდა, გაფრთხილებაც ამად მიიღო და ბოლოსკენ გაბულოვთან შეჯახებისას კინაღამ დაშავდა. „სპორტ ექსპრესმა" ის ლოკომოტიველთაგან საუკეთესოდ დაასახელა და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა. მერე მწვრთნელმა იური სიომინმა თქვა: „დემეტრაძე ჩვეულ ფორმაში ჯერაც არ არის, მაგრამ მაინც სასარგებლოდ ითამაშა, კარგად იჭერდა ბურთს, ბრძოლას არ ერიდებოდა, რამდენჯერმე ტექნიკურობითაც გამოირჩა". სიომინს „ალანიის" დამრიგებელი ვლადიმირ მუხტიანიც დაეთანხმა: ახალ პირობებთან შესაგუებლად დემეტრაძეს ცოტა დრო კიდევ სჭირდება, ხომ გახსოვთ კიევის „დინამოშიც" ასე მოხდა. ისე კი, საიდუმლო არავისთვისაა, რომ გიორგი დიდი პოტენციალის ფეხბურთელიაო.

სხვათა შორის, სეზონისწინა სპარინგ-მატჩებისას დემეტრაძემ ლოკომოტიველთაგან ყველაზე მეტი, 7 გოლი გაიტანა.

ახლა გერმანიაში გადავინაცვლოთ და დავსძინოთ, რომ „ფრაიბურგი" მართლაც მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. შაბათს უშუალო კონკურენტ „ზანკტ პაულისთან" წაგების მერე ქომაგებმა ფეხბურთელებით სავსე ავტობუსს ალყა შემოარტყეს და კარგა ხანს არ გაუშვეს. მწვრთნელმა ფინკემ თქვა კიდეც: გულშემატკივრებს ვერ გავამტყუნებ, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ და ამ ორმოდან ამოვძვრებითო. ხუმრობა ხომ არ არის, ბოლო 14 მატჩში „ფრაიბურგმა" მხოლოდ ერთხელ მოიგო. „ზანკტ პაულისთანაც" ურიგოდ გამოირჩა. მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ, ერთ ეპიზოდში ლევან კობიაშვილმა კარის ხაზიდანაც გამოიტანა ბურთი და დიდი ანგარიშით რომ ვერ გაიმარჯვეს, ეს ფრაიბურგელთა მეკარის და თავად ზანკტელთა ბრალია. ახლა ფოლკერ ფინკეს გუნდი სამი ქულითღა უსწრებს ბოლოსწინა „ზანკტ პაულის", ამ შაბათს კი კიდევ ერთი ურთულესი თამაში ელის, „დრაიზამშტადიონზე" „დორტმუნდს" უნდა დაუხვდეს.

შოტლანდიაში ისევ გაიტანა თემურ ქეცბაიამ. ვაგლახ, რომ მისმა „დანდიმ" „აბერდინთან" მაინც 2:3 წააგო. თემურმა ჯერ პენალტი გააზერხა, მერე კი დამსწრეთ თავისი ტექნიკა უჩვენა და ლამაზი ბურთიც შეაგდო.

**სოლომონ გულისაშვილი**




დანდი — აბერდინი. თემურ ქეცბაიამ კი გაიტანა, მაგრამ...

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ზანკტ პაული 0:1 | 90 | | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ზანკტ პაული 0:1 | 90 | გააფრთხილეს | [illegible] | 2 | 16 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ზანკტ პაული 0:1 | 90 | | 21 | 1 | 16 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | ზანკტ პაული 0:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 16 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | ზანკტ პაული 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 16 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ვოლფსბურგი 1:5 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 18 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | არმინია 2:3 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 3 | 0 | 4 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | არსენალი 0:1 | 54 | შეცვალეს | 16 | 1 | 19 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ფულემი 3:2 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| **ინგლისი. ასოციაციის თასი.** მეოთხედფინალი | | | | | | | | |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | ტოტენჰემი 4:0 | 0 | | 0 | 0 | |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | აბერდინი 2:3 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 11 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | აბერდინი 2:3 | 0 | ტრავმირებულია | 18 | 0 | 11 |
| თემურ ქეცბაია | დანდი | შ | აბერდინი 2:3 | 90 | 1 გოლი | 19 | 4 | 11 |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | სენტ ჯონსტონი 2:0 | 0 | ტრავმირებული იყო | 20 | 11 | 2 |
| | რეინჯერსი | შ | სელტიკი 1:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 21 | 11 | 2 |
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ბოლონია 0:2 | 45 | შეცვალეს | 22 | 2 | 6 |
| **ჰოლანდია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | როდა 4:1 | 70 | შეცვლაზე ითამაშა | 19 | 2 | 3 |
| **ბელგია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | აალსტი 3:1 | 90 | | 19 | 0 | 15 |
| **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | სიონი 2:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 17 | 1 | 7 |
| | ციურიხი | ს | გრასჰოპერი 0:3 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 17 | 1 | 7 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | სიონი 2:1 | 0 | ტრავმირებული იყო | 17 | 10 | 7 |
| | ციურიხი | ს | გრასჰოპერი 0:3 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 18 | 10 | 7 |
| **შვეიცარია. A/B ჯგუფი** | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | ს | ვინტერთური 2:2 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 5 |
| | აარაუ | შ | ლუცერნი 2:1 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 4 |
| **დანია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ აშვეთია | კოპენჰაგენი | ს | ვაილე 3:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 4 | 0 | 2 |
| **ავსტრია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ტიროლი 1:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 5 | 1 | 2 |
| | შტურმი | ს | ბრეგენცი 1:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 5 | 1 | 2 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | როსტსელმაში 0:0 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| გიორგი დემეტრაძე | ლოკომოტივი | შ | ალანია 1:0 | 84 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 1 | 0 | 4 |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ალანია 1:0 | 0 | | 0 | 0 | 4 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | შ | ალანია 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| გია იმედაძე | ალანია | ს | ლოკომოტივი 0:1 | 90 | | 1 | 0 | 12 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | სპარტაკი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 9 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | შ | სოკოლი 1:0 | 14 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 5 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | ზენიტი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| **პოლონეთი. ელიტური ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | ოდრა 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 16 | 0 | 8 |
| **პოლონეთი. თასის ნახევარფინალი.** პირველი მატჩი | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | ამიცა 1:0 | 90 | | 3 | 1 | |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | ლევსკი 1:1 | 0 | | 13 | 1 | 11 |
| **უნგრეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| კახაბერ ჩხეტიანი | დებრეცენი | ს | დიორი 1:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 14 | 1 | 8 |
| | დებრეცენი | შ | ვიდეოტონი 0:0 | 45 | შეცვალეს | 15 | 1 | 8 |
| **საბერძნეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | ს | ეთნიკოსი ასტერასი 2:1 | 0 | | 8 | 1 | 6 |
| **ისრაელი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ყიფიანი | მ.კირიათ გათი | შ | მ. ნეთანია 2:1 | 0 | | ? | 1 | 12 |
| გოჩა ქოქოშვილი | მ.კირიათ გათი | შ | მ. ნეთანია 2:1 | 90 | | ? | 0 | 12 |
| **კვიპროსი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ბახვა ამბიძე | აელ | ს | ანორთოსისი 2:2 | 0 | | 2 | 0 | 4 |
| გიორგი შენგელია | აპოლონი | შ | აპოელი 2:2 | 90 | | 5 | 3 | 6 |
| ლევან მაღრაძე | პაფოსი | ს | ოლიმპიაკოსი 1:4 | 0 | | 13 | 4 | 10 |
| გურამ ასპინძელაშვილი | არადიპუ | ს | ეთნიკოსი ახნასი 1:4 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 0 | 14 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

# 21-ე საუკუნის ქართულ-რუსული გარიგება
## ტორპედო — ნაკანის გაქანი

**მოსკოვის „ტორპედოში"** მეორე ქართველი ჩაირიცხა. დედაქალაქელებმა ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს 18 წლის დავით ნაკანს.

ნაკანი საფეხბურთო სკოლა „21-ე საუკუნის" აღზრდილია, ამპლუით შემტევი ნახევარმცველი. იგი საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების წევრიც იყო.

პერსპექტიული ფეხბურთელი შარშან კიევის „დინამომ" შეამჩნია. ნაკანი თვეზე მეტი კონჩა ზასპაში ემზადებოდა და კონტრაქტის გაფორმებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ ბოლო წამს მოლაპარაკება ჩაიშალა და დათოც „21-ე საუკუნეს" დაუბრუნდა. მიმდინარე ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი კი იჯარის წესით რეგიონლიგელ „დინამო 2"-ში გაატარა.

მოსკოვში ნაკანი „21-ე საუკუნის" დირექტორ გია ლეჟავას ძალისხმევით აღმოჩნდა. ქართველი ერთი თვე ვარჯიშობდა „ტორპედოში".

ამ ხნის განმავლობაში გუნდის მეორე შემადგენლობასთან ერთად რამდენიმე საკონტროლო მატჩშიც ითამაშა და რუსებს თავიც მოაწონა. ყოველივე ორიოდე დღის წინ „21-ე საუკუნესა" და „ტორპედოს" შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დამთავრდა. ამის შესახებ მოსკოვიდან თბილისში გუშინ დაბრუნებულმა გია ლეჟავამ გვიამბო:

— დათომ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ჩვენთვის ხელსაყრელი პირობებით. კონტრაქტის ვადის გასვლამდე ფეხბურთელის გაყიდვის შემთხვევაში „21-ე საუკუნე" სოლიდურ წილს მიიღებს. გარდა ამისა, ფეხბურთელს აქვს უფლება, კლუბს სხვა გუნდში განათხოვრება მოსთხოვოს, ოღონდ ეს გუნდი საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე უნდა იყოს. ერთიცაა, „ტორპედო" თავისი სურვილისამებრ ნაკანს ვერსად გაანათხოვრებს — გადამწყვეტი სიტყვა ფეხბურთელს ეკუთვნის.

მოკლედ, ორ მხარეს შორის კონტრაქტი გაფორმებულია, საბუთს მხოლოდ ფეხბურთელის ხელმოწერაღა აკლია. ნაკანი ჯერჯერობით თბილისშია და სავიზო ფორმალობას აგვარებს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ქართველის „ტორპედოში" ჩარიცხვა გარკვეულწილად ბორის მეგრელაძემაც განაპირობა, რომელიც ამ კლუბის დირექტორატის წევრია. სწორედ მისი ძალისხმევით გამოუყვეს დედაქალაქელებმა ნაკანს ცალკე საცხოვრებელი ბინა. დათო ჯერჯერობით „ტორპედოს" სარეზერვო შემადგენლობაში ითამაშებს და ყოველთვიურ გასამრჯელოდ 500 დოლარს მიიღებს. ძირითადი გუნდის განაცხადში მოხვედრის შემთხვევაში 1000 დოლარი დაენიშნება.

„ტორპედოს" დუბლებში ნაკანის დებიუტი ერთი კვირის შემდეგაა მოსალოდნელი „როტორთან" მატჩში.

შეგახსენებთ, „ტორპედოში" დღეისით ედიკ საჯაია თამაშობს. აქამდე კი ამ გუნდის მაისურით გიორგი ლუდუშაურს, ლაშა მონასელიძეს და გოჩა ქოქოშვილს უთამაშიათ.

**ბაადურ ძანტალიანი**

**ვაცხადებთ კონკურსს**
საფეხბურთო კლუბის
ემბლემისა და ფორმის დიზაინის შესაქმნელად.
საუკეთესო ვარიანტის ავტორი დაჯილდოვდება
**ფულადი პრემიით**
კონკურსში სამონაწილეოდ გამოგვეხმაურეთ ტელეფონებზე:
39 00 98, 8 99 55 36 93

კვირას, ქუთაისში, „ტორპედო“ – „დინამოს“ მატჩისას მომხდარ გახმაურებულ ინციდენტს, დღეს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი გაარჩევს.

გუშინდელ „სარბიელში“ „ტორპედოს“ მწვრთნელის რევაზ ძოძუაშვილის კომენტარი და „დინამოს“ განცხადება შემოგთავაზეთ. ქვემოთ კი „დინამოს“ კაპიტნის გიორგი შაშიაშვილის ინტერვიუს და „ტორპედოს“ განცხადებას გაეცანით. ცხადია, 10 მარტის ამბებს ორივე მხარე სათავისოდ აფასებს.

# ქვები ფეხბურთს ამახინჯებს

## გიორგი შაშიაშვილი: ჩვენს მიმართ ყველას ერთნაირი რეაქცია ჰქონდა


გიორგი შაშიაშვილი

**— „ტორპედოსთან“ თამაშის შემდეგ როგორ განწყობაზეა გუნდი?**

— გულდაწყვეტილები ვართ, მოსაგებად ჩავედით, სამი ქულა გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ ისეთი თამაში წავიდა, რომ ქულითაც კმაყოფილები დავრჩით — ანგარიში ხომ მატჩის მიწურულს გავათანაბრეთ.

**— გასაგებია, მაგრამ იმ ინციდენტზე რას იტყვი, მატჩის დროს რომ მოხდა?**

— მართლაც ძალიან ცუდი ამბები დატრიალდა. „დინამოს“ გულშემატკივრებს, რომლებიც 50 კაცზე ოდნავ მეტნი თუ იყვნენ, მისცვივდნენ და ხელკეტებითაც სცემეს პოლიციელებმა. არადა, განა თავად ქუთაისელებისთვის უკეთესი არ უნდა იყოს, რომ სტუმართა გუნდის გულშემატკივრებიც ესწრებიან მატჩს და თავიანთ გუნდს ქომაგობენ? თბილისში არ უნდათ ჩამოსვლა „ტორპედოს“ გულშემატკივრებს?

**— როგორ მოხდა ყველაფერი?**

— პირველი ტაიმის მიწურულს თამაში შეწყდა. „დინამოს“ და „ტორპედოს“ გულშემატკივრებს შორის ჩხუბი ატყდა. პოლიციამ ჩვენი მხარდამჭერები ტრიბუნიდან სარბენ ბილიკზე ჩამოიყვანა, სადაც მათ ცემა დაუწყო და გოგონებსაც ჩვენს თვალწინ ურტყამდნენ ხელკეტებს.

**— „დინამოს“ ფეხბურთელების მიმართ მართლა ძალიან აგრესიული განწყობა იყო?**

— გინებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია — მოედანზე ჩვენსკენ ქვებს ისროდნენ. გიორგი ანჩაბაძეს ბლომად დაუშინეს, ჩიკო სახვაძესაც მოხვდა, ხოლო როცა თამაშის შემდეგ მინდვრიდან გავდიოდით, ქუთაისელ გულშემატკივართა აგრესია გაძლიერდა და ფურთხებაც დაგვიწყეს.

**— ზოგი ჯიუტად ამტკიცებს, რომ უმსგავსოებას ქუთაისში მხოლოდ ბავშვები სჩადიან, მხოლოდ ბავშვები ისვრიან ქვებს. ცხადია, ყოველივე ეს უცნაური ლოგიკაა, მაგრამ შენ რას იტყოდი ამაზე?**

— სტადიონის ტრიბუნის ნებისმიერი წერტილიდან, ჩვენს მიმართ ერთნაირი რეაქცია ჰქონდათ — ყველაფერი ასე ჩანდა.

**— „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა პირდაპირ განაცხადა, მატჩის დროს თითქმის მთელი „დინამო“ იგინებოდა...**

— მან თავის მაყურებელს მიხედოს, ჩვენგან არავინ იგინებოდა. ჯარიმების დროს კი შეხლა-შემოხლა მართლა იყო და ეს იმიტომ ხდებოდა, რომ გულშემატკივრები ძაბავდნენ ვითარებას.

**— როგორ ფიქრობ, რისი ბრალია „ტორპედოს“ ქომაგთა მხრიდან „დინამოს“ მიმართ ასეთი დამოკიდებულება?**

— ალბათ, იმის ბრალია, რომ მათ იციან, „დინამო“ ძლიერი გუნდია და ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის კიდევ უფრო გაძლიერდა. ისე კი, „ტორპედოს“ გულშემატკივარი საერთოდ თბილისელების, თბილისური გუნდების მიმართაა აგრესიულად განწყობილი, ხოლო „დინამოს“ მიმართ კიდევ უფრო აგრესიულად. ვფიქრობ იმიტომ, რომ ჩვენ ის გუნდი ვართ, ნაღდად რომ შეგვწევს ძალა „ტორპედოს“ დასამარცხებლად. თანაც 10 მარტის ინციდენტი პირველი ხომ არ არის, „დინამოს“ მიმართ ადრეც იყო მსგავსი ექსცესები.

**— რევაზ ძოძუაშვილმა ისიც თქვა, ვიღაც მესამე ძალა ძაბავს სიტუაციას...**

— ჰოდა, ეს მესამე ძალა ქუთაისში, თავად ეძებონ. ოდესმე თბილისში მსგავსი რამ მომხდარა? რამდენჯერ ჩამოსულა „ტორპედო“ თბილისში „დინამოსთან“ სათამაშოდ და ვინმეს ტორპედოელებისთვის უგინებია ან ქვები დაუშენია?

ჩვენ კი რატომ ვერ უნდა გავდიოდეთ ქუთაისის სტადიონიდან ჩვენი ავტობუსით? რატომ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ ქუთაისელმა ფანებმა მინები არ ჩაუმსხვრიონ „დინამოს“ ავტობუსს?

**— საქმეს ისეთი პირი უჩანს, „დინამო“ ზექქსულში დარჩება და ქუთაისში თამაშიც მალევე მოგიწევთ. შესაძლოა, თასის ნახევარფინალშიც შეხვდეთ ერთმანეთს. რა მოხდება ამჯერად?**

— ყველაფერ ამას საშველი უნდა დაადგეს. ქუთაისის ხელმძღვანელობამ და იქაურმა გულშემატკივრებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ხალხმა სტადიონზე ნორმალურად უყუროს თამაშს. ქვების სროლა ფეხბურთს ამახინჯებს.

რაც შეეხება „ტორპედოს“ ფეხბურთელებს, მათთან ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. უბრალოდ, თამაშის დროს ბრძოლის ჟინით ვართ შეპყრობილნი.

**— ამ მატჩის მსაჯობაზე რა აზრის ხარ?**

— შეიძლება ითქვას, კახა მესხმა თავი გაართვა საქმეს. თუმც უკეთესი მსაჯობაც შეიძლებოდა. არბიტრს მეტი სიმკაცრე მართებდა.

**— და ბოლოს, შეგიძლია თქვა, რომ „დინამო“ მეორე ეტაპზე პირველთან შედარებით უკეთ გამოიყურება?**

— ეგრეა და ეს უპირველესად იგო შუშაკის დამსახურებაა. — „დინამო“ მართლა თავის ფეხბურთს თამაშობს, თავის სქემა და ტაქტიკური მონახაზი აქვს. შუშაკი დისციპლინასაც დიდ ყურადღებას აქცევს და ფეხბურთელებიც ვცდილობთ, არ დავჯარიმდეთ.

**დავით თაგართქილაძე**

# საფეხბურთო კლუბ ქუთაისის „ტორპედოს“ განცხადება

როგორც ქართველ გულშემატკივართა ფართო აუდიტორიისათვის არის ცნობილი 10 მარტს ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს მე-13 ეროვნული ჩემპიონატის მე-20 ტურის მატჩი ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. თავიდანვე იგი საინფორმაციო საშუალებებით ერთ-ერთ საინტერესო და უპრინციპულეს მატჩად იქნა მონათლული, ასევე ფიქრობდა სტადიონზე მატჩის საყურებლად მოსული 14 000 გულშემატკივარიც. თუმცა მათდა სამწუხაროდ მოლოდინმა არ გაამართლა, ამაში კი ბრალი ძალზე ბევრმა ფაქტორმა დაიდო. თუმცა სჯობს ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

ქუთაისს იმ დღეს, თამაშის საყურებლად თბილისის „დინამოს“ 90-მდე ქომაგი ეწვია, რომლებიც სტადიონის დირექციისა და მატჩის მომსახურე პოლიციელთა მიერ განთავსებულ იქნენ ცალკე სექტორში — რაიმე გართულების თავიდან ასაცილებლად და მათზე მიმაგრებული იქნა პოლიციის განსაკუთრებული დაცვა. თუმცა, არც ამან უშველათ არაფხიზელ, აღზნებულ მდგომარეობაში მყოფ (რასაც იმედია არც თვითონ უარყოფენ) დინამოელ ფანებს, რომლებიც პირველივე წუთებიდანვე არც კი დამჯდარან ინდივიდუალურ სავარძლებზე ფეხბით შემდგარნი, მათზე ხტუნვით ქომაგობდნენ საკუთარ გუნდს (შედეგად იმ სექტორში გატეხილია 350 ინდივიდუალური სავარძლის სკამი). მათ მიმართ, არაერთხელ იქნა მიცემული მითითება პოლიციის თანამშრომელთა მიერ, რომ წესრიგი დაეცვათ და როგორც ჭეშმარიტ გულშემატკივარს შეშვენის, ისე ექომაგად საკუთარი გუნდისთვის. პასუხად კი ლანძღვა-გინების კორიანტელი მიიღეს. თუმცა არც ეს იკმარეს და სხვადასხვაგვარი ჟესტებით აქეზებდნენ ჩხუბისაკენ.

ცეცხლზე ნავთი დაასხა კახაბერ მესხის არაკვალიფიციურმა მსაჯობამაც, მან არანაირი რეაქცია არ მოახდინა მისი და გვერდითი მსაჯების მისამართით მაგინებელი დინამოელი ფეხბურთელების მიმართ, ისევე როგორც ყვითელ ბარათს დააჯერა მაყურებლების მაგინებელი გიორგი ანჩაბაძე. იგრძნეს რა დინამოელმა ფანებმა, ყველაფერი მათ წისქვილზე ასხამდა წყალს, კიდევ უფრო გააქტიურდნენ. პოლიცია კი მიხვდა მოახლოებულ საშიშროებას — იოლი შესაძლებელი იყო, თამაშზე მოსული 14 000 გულშემატკივარი ვეღარ შეეჩერებინათ, მათ ტრიბუნიდან სარბენ ბილიკზე ჩასვლა შესთავაზეს, თუმცა საკმაოდ მოულოდნელად დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ, რაც მათი მისამართით ხელკეტის წასვლაშიც გამოიხატა. ამან კიდევ უფრო გაამძაფრა სიტუაცია, თუმცა პოლიციელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ყოველი ღონე იხმარეს, რათა ეს არეულობა მშვიდობიანად დასრულებულიყო.

ჩვენ შეძლებისდაგვარად მოკლედ შევეცადეთ გადმოგვეცა თქვენთვის თუ რა მოხდა სინამდვილეში იმ დღეს ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონზე. არ ჩაუღრმავდებით და არ განვიხილავთ მატჩის პერიპეტიებს, თუმცა რატომღაც გვგონია, რომ ყოველივე დინამოელ ფეხბურთელთა მოედანზე უსაქციელობით დაწყებული და თბილისელ ფანთა ალვირახსნილობით დასრულებული წინასწარ პროვოცირებულს ჰგავდა. აბა, თუ ვინმემ დაინახა იმ დღეს ქუთაისელი პოლიციელის ხელში ხელკეტი? საინტერესოა, საიდან წამოვიდა ეს ინფორმაცია? და ვის აწყობდა მისი ამ დონეზე გახმაურება? არაფერი თქმულა თუ ვინ გაუკეთა ორგანიზება არაფხიზელ მდგომარეობაში თბილისელ ფანთა ქუთაისში სტუმრობას. გუნდის საქომაგოდ ჩამოსულმა ვაიგულშემატკივრებმა გზაზე ალკოჰოლური სასმელი როგორ მიიღეს?

ერთი სიტყვით, ყველაფერი წინასწარ პროვოცირებულს, დადგმულს ჰგავდა, მათაც საწადელს მიაღწიეს — დამნაშავედ ქუთაისის პოლიცია, გულშემატკივრები და ჩვენ გამოგვიყვანეს.

# რუსეთი ითამაშებს, ჩივაძე წავა

**17-19 მაისს** მოსკოვი ოთხთა საერთაშორისო ტურნირს, „LG თასს“ უმასპინძლებს. ტურნირში რუსეთის, უკრაინის, ბელარუსისა და იუგოსლავიის ნაკრებები ითამაშებენ. მოგეხსენებათ, რუსეთი 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მეათე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეა.

გუშინ გაირკვა, რომ „LG თასის“ ნახევარფინალში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: რუსეთი — ბელარუსი, უკრაინა — იუგოსლავია. გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან, დამარცხებულები კი მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ. აქვე ვთქვათ, რომ საპრიზო ფონდი ასე განაწილდა: ჩემპიონს 60 ათასი დოლარი ერგება, მეორეადგილოსანს — 40 ათასი, ბრინჯაოს პრიზიორი 30 ათასს ჩაიჯიბავს, ხოლო მეოთხე — 20 ათასს.


ალექსანდრე ჩივაძე

როგორც ხედავთ, რუსები დროს უქმად არ კარგავენ და ინტენსიურად ემზადებიან. თუმც ზემოთაღნიშნული ტურნირი ქართველის გარეშე მაინც არ ჩაივლის. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის, ვალერი ჩოლარიას თქმით, რუსეთის ნაკრების დასაზვერად აუცილებლად წავა ნაკრების თავკაცი ალექსანდრე ჩივაძე.

რუსებზე ვლაპარაკობთ და ბარემ მათ ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. მით უმეტეს, რუსი 21-წლამდელებიც ქართველი ახალგაზრდების მეტოქეები არიან 2004 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

საქმე ისაა, რომ 26 მარტს თელავივში ისრაელისა და რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩი უნდა გამართულიყო, თუმც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რჩევით, საფეხბურთო კავშირმა ებრაელ კოლეგებს ისრაელში შექმნილი არეულობის გამო მატჩის გადატანა სთხოვა და ალტერნატიულ მიწიდან დასტურიც მიიღო.

**კახა შალამბერიძე**

# კოსმოსის მეპატრონე ნაკრებსაც დაეპატრონა

## სამხრეთაფრიკელებს თბილისში დირექტორი ჩამოიყვანს

**გუშინ** სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლუშ კეირუში თანამდებობიდან გადადგა. მოგეხსენებათ, სამხრეთაფრიკელები 27 მარტს „ლოკომოტივის“ სტადიონზე საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გაეჯიბრებიან ამხანაგურად. ჰოდა, ჩვენი დაინტერესებაც ამ ფაქტმა სწორედ ამიტომ გამოიწვია.

კეირუში „ბაფანა ბაფანას“ 2000 წლის ოქტომბერში ჩაუდგა სათავეში, თუმც ბოლო დროს ნაკრების ტექნიკურ დირექტორ იომო სონოსთან კონფლიქტი მოუვიდა და ამან შედეგი ახლა გამოიღო.

მთავარ მწვრთნელსა და დირექტორს შორის შავმა კატამ იანვარში, აფრიკის ერთა თასზე სუსტი გამოსვლის შემდეგ გაირბინა. შეგახსენებთ, რომ კარლუშ კეირუშის შეგირდები მეოთხედფინალში მალისთან დამარცხდნენ, რამაც იომო სონო გააცოფა. სონოს მხარი პრესამაც აუბა და ნაკრების თავკაცი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. მათი უმთავრესი არგუმენტი ის იყო, რომ კეირუში ძირითადად ლეგიონერებს ენდობოდა და ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს ყურადღებას არ აქცევდა. მწვრთნელმაც აქამდე ითმინა, თუმც საბოლოოდ მაინც გაცლა ამჯობინა.

სავარაუდოდ, ნაკრების თავკაცობას იომო სონო შეითავსებს, რომელიც ამავდროულად კლუბ „იომო კოსმოსის“ მფლობელიცაა. სწორედ ის მოამზადებს „ბაფანა ბაფანას“ უახლოესი ორი ამხანაგური მატჩისთვის (მათ შორის საქართველოსთანაც).

· „შინდისფერებთან“ თამაშამდე ერთი კვირით ადრე, 20 მარტს, სამხრეთ აფრიკის ნაკრები საუდის არაბეთს გაეჯიბრება.

**კახა შალამბერიძე**

საქართველოს 13 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი ეტაპი

გუშინდელ „სარბიელში“ ორი მატჩის ანგარიში არასწორად გამცნეთ. ეს მატჩები ასე დასრულდა

**ცხინვალი 0:1 ლოკომოტივი 3**

**მერანი 2 0:1 ქობულეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 20 | 13 | 4 | 3 | 48:13 | 43 |
| თსუ | 20 | 13 | 3 | 4 | 36:12 | 42 |
| მილანი | 20 | 11 | 7 | 2 | 44:18 | 40 |
| ქობულეთი | 20 | 11 | 5 | 4 | 26:16 | 38 |
| ლოკომოტივი 3 | 20 | 10 | 6 | 4 | 33:20 | 36 |
| ცხინვალი | 20 | 10 | 3 | 7 | 38:26 | 33 |
| დინამო 2 | 20 | 9 | 1 | 10 | 21:22 | 28 |
| ლაზიკა | 20 | 6 | 4 | 10 | 24:37 | 22 |
| ხობი | 20 | 4 | 7 | 9 | 20:32 | 19 |
| მერანი 2 | 20 | 5 | 1 | 14 | 15:38 | 16 |
| სამტრედია | 20 | 3 | 4 | 13 | 14:39 | 13 |
| თორი | 20 | 2 | 1 | 17 | 16:62 | 7 |

საქართველოს 13 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
წრე

### აღმოსავლეთი

**მეცხრამეტე ტური: ცხუმი — ალაზანი 0:1; ჭაბუკიანი — გორდა 2 1:1; ჯავახი — აკადემია 0:3; თბილისი — მესხეთი 1:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 19 | 15 | 2 | 2 | 43:10 | 47 |
| ალაზანი | 19 | 14 | 2 | 3 | 49:18 | 44 |
| ივერია | 19 | 12 | 2 | 5 | 51:31 | 38 |
| ცხუმი | 19 | 11 | 4 | 4 | 45:16 | 37 |
| მაუდი | 19 | 11 | 3 | 5 | 27:15 | 36 |
| ოლიმპიკი | 19 | 10 | 4 | 5 | 41:22 | 34 |
| ჭაბუკიანი | 19 | 9 | 7 | 3 | 32:14 | 34 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 19 | 9 | 6 | 4 | 40:17 | 33 |
| აკადემია | 19 | 9 | 6 | 4 | 32:21 | 33 |
| ზოოვეტი | 19 | 10 | 0 | 9 | 38:28 | 30 |
| მესხეთი | 19 | 9 | 1 | 9 | 26:31 | 28 |
| ლიახვი | 19 | 8 | 1 | 10 | 27:37 | 25 |
| გორდა 2 | 19 | 5 | 5 | 9 | 28:30 | 20 |
| დინამო 3 | 19 | 4 | 6 | 11 | 23:28 | 18 |
| კრწანისი | 18 | 5 | 2 | 11 | 26:42 | 17 |
| თბილისი | 19 | 4 | 3 | 12 | 27:58 | 15 |
| მერანი 3 | 19 | 3 | 3 | 13 | 14:49 | 12 |
| მრეტები | 19 | 0 | 6 | 13 | 19:42 | 6 |
| ჯავახი | 19 | 0 | 1 | 18 | 17:96 | 1 |

## საქართველოს ჩემპიონატი

*დღეს ბათუმში პირველი ეტაპის გამარჯვებულ „ბასკოსა" და მეექვსეადგილოსან თსუ-ს მატჩით მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი დაიწყება.*

*ჩემპიონატი თბილისს ორი დღით გვიან, ვერის ბაღის ნაცვლად სპორტის სასახლეში ეწვევა და „დინამოს" „მაკაბის", „აზოტს" კი „სტუ-ჯეოსელს" დააჯახებს.*

*ექვსი საუკეთესო 27 აპრილამდე ორჯერ შეხვდება ერთურთს, შემდეგ კიდევ ერთ ტურს მოილევს სპორტის სასახლეში და ოთხეულსაც გამოავლენს.*

*ეს ყოველივე 2 მაისისთვის დასრულდება, მერე კი პირველი მეოთხეს, მეორე კი მესამეს შეეტოქება და ფინალში გასაღწევად სამ გამარჯვებამდე იბრძოლებენ. ფინალიც სამ მოგებამდე იქნება, მაგრამ არც მანამდე მოიწყენს სპორტის სასახლეში მისული ქომაგი.*

### საქართველოს 2002 წლის ჩემპიონატის მეორე ეტაპის კალენდარი

| | |
|---|---|
| **13 მარტი, ოთხშაბათი** | |
| ბასკო — თსუ | 17.30 |
| **15 მარტი, პარასკევი** | |
| დინამო — მაკაბი | 14.00 |
| აზოტი — სტუ-ჯეოსელი | 16.00 |
| **16 მარტი, შაბათი** | |
| აზოტი — თსუ | 14.00 |
| სტუ-ჯეოსელი — მაკაბი | 16.00 |
| **18 მარტი, ორშაბათი** | |
| ბასკო — დინამო | 17.30 |
| **23 მარტი, შაბათი** | |
| მაკაბი — აზოტი | 12.00 |
| თსუ — დინამო | 14.00 |
| სტუ-ჯეოსელი — ბასკო | 16.00 |
| **24 მარტი, კვირა** | |
| მაკაბი — ბასკო | 12.00 |
| თსუ — სტუ-ჯეოსელი | 14.00 |
| დინამო — აზოტი | 16.00 |
| **30 მარტი, შაბათი** | |
| მაკაბი — თსუ | 14.00 |
| სტუ-ჯეოსელი — დინამო | 16.00 |
| **31 მარტი, კვირა** | |
| მაკაბი — დინამო | 14.00 |
| სტუ-ჯეოსელი — აზოტი | 16.00 |

| | |
|---|---|
| **5 აპრილი, პარასკევი** | |
| მაკაბი — სტუ-ჯეოსელი | 12.00 |
| თსუ — აზოტი | 14.00 |
| დინამო — ბასკო | 16.00 |
| **10 აპრილი, ხუთშაბათი** | |
| ბასკო — აზოტი | 17.30 |
| **11 აპრილი, პარასკევი** | |
| ბასკო — სტუ-ჯეოსელი | 17.30 |
| **15 აპრილი, ორშაბათი** | |
| აზოტი — მაკაბი | 14.00 |
| დინამო — თსუ | 16.00 |
| **16 აპრილი, სამშაბათი** | |
| სტუ-ჯეოსელი — თსუ | 14.00 |
| აზოტი — დინამო | 16.00 |
| **17 აპრილი, ოთხშაბათი** | |
| ბასკო — მაკაბი | 17.30 |
| **20 აპრილი, შაბათი** | |
| თსუ — ბასკო | 14.00 |
| **21 აპრილი, კვირა** | |
| თსუ — მაკაბი | 12.00 |
| აზოტი — ბასკო | 14.00 |
| დინამო — სტუ-ჯეოსელი | 16.00 |
| **დასკვნითი ტური** | |
| 27 აპრილი — 2 მაისი | |

# ჩემპიონატი სასახლეში, ზანგები საქართველოში, ბათუმი ევროპაში

**გუშინდელ** „სარბიელში" მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი რომ გავიხსენ-მიმოვიხილეთ, როცა ლეგიონერებს მივადექით, ვთქვით, რომ „აზოტისა" და „დინამოს" ახალწვეულ ზანგებთან ერთად საქართველოს პირველობაში ბასკოელი ნიკ დილანიც ჩაებმება. თურმე ჯერ სადა ხარ...

კიდევ ერთი ლეგიონერი, კიდევ ერთი ზანგი, კიდევ ერთი კამერუნელი და ისევ „ბასკოში". როლუნტა პლასიდი ბათუმური კლუბის მეოთხე და ეროვნული ჩემპიონატის მეექვსე შავკანიანია. მაშ ასე, აჭარელებმა ზანგები დააწყვილეს, აქეთ ორი კამერუნელი — ჟოლივეტ ტუჯანი და როლუნტა პლასიდი და იქით ორი ამერიკელი — ჯეფრი როჯერსი და ნიკ დილანი.

„ბასკოს" მწვრთნელ ნუგზარ კანდელაკის თქმით, ბათუმელთა ცინცხალ შენაძენს წინა სეზონში ტრავმა აწუხებდა და ორი თვეა, რაც მწყობრშია. მას იმედი აქვს, რომ კამერუნელი, ისევე როგორც ამ ბოლოს შეძენილი ნიკ დილანი, გუნდს სხვა ლეგიონერებთან ერთად დიდად დაეხმარება და არა მარტო საქართველოს ჩემპიონატში:

— როლუნტა პლასიდი წინა სეზონში სარატოვის „ავტოდორში" თამაშობდა, მაგრამ დროის მეტი წილი ტრავმის გამო გაუცდა. იგი 206 სანტიმეტრია და როგორც თავდამსხმელის, ისე ცენტრის პოზიციაზეც შეუძლია თამაში. ჩვენ უკვე გავუფორმეთ კონტრაქტი და მისი გვეიმედება. ახევე მშვენივრად წარმოაჩინა თავი „ბასკოს" ბოლოსწინა შენაძენმა, ამერიკელმა ნიკ დილანიმ, რომელიც ვარჯიშიდან ვარჯიშამდე უმატებს.

პლასიდი „ბასკოსთვის" მეხუთე ლეგიონერია. ამათ თუ მთავარ მწვრთნელ პაველ გოლგესა და ცოტა ხნის წინ დათხოვნილ რუს ფიოდორ სლიშლოვს დავუმატებთ, უცხოელთა იმ საკმაოდ ოდენობას მივიღებთ, ამ სეზონში ზღვისპირელებთან რომ ჰქონიათ კავშირი. ახლა, მოდით, საკითხი ასე შევატრიალოთ: „ბასკო" დაარსების დღიდან ჩაეწერა ქართულ კლუბთა ავანგარდში და ყველა ჩემპიონატში ოქროს მედლებს დაეპატრონა. მოკლედ, ბათუმლებს საქართველოს მასშტაბით პრობლემა ჯერ არ შექმნიათ. მაშ, რად უნდათ აჭარაში ამხელა ლეგიონი? ცხადია, არა მარტო „დინამოს", „აზოტისა" და მისთანათა დასაჩოქებლად. „ბასკოს" მესვეურებმა შარშან უარი თქვეს ევროპულ ტურნირებში გამოსვლაზე და როგორც გამოჩნდა, ეს სეზონი სასელექციო საქმიანობას დაუთმეს. მიზნად კი ბებერი კონტინენტის კლუბთა მარაქაში გარევა დაუსახავთ. ნუგზარ კანდელაკი „სარბიელს" ამის შესახებაც ესაუბრა:

— ბათუმში ყველაფერი კეთდება, რათა „ბასკომ" წლეულს ევროპის საკლუბო ტურნირში იასპარეზოს და თავისი სიტყვა თქვას. შემთხვევითი არაა გუნდში ამდენი უცხოელის მოსვლა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ, მაგრამ მიგვაჩნია, ლეგიონერთა ყოლა აუცილებელია. შარშან ჩვენ უარი ვთქვით ევროტურნირებში ასპარეზობაზე, რადგან გვინდოდა, უფრო ძლიერი შემადგენლობა შეგვეკრიბა. წლეულს გადაწყვეტილი გვაქვს, რომელიმე საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზოთ.

ბოლოს კი სხვა გუნდთა ზანგებზეც გეტყვით. დინამოელმა აპმელ მუპიმ და აზოტელმა ტიბუ იამჩუმ ძველი კლუბებიდან გათავისუფლების ფურცელი მიიღეს. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, ექვსეულის „აზოტი" — „ბასკოს" შეხვედრისას, მოედანზე თეთრებმა შავებს ვერ გადააჭარბონ.

**ირაკლი ბერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

### სასარგებლო რჩევები

# ნუ დაიზარებთ, ზოგჯერ ხელი მოისვით თავზე

## ახალგაზრდა მემფისელი ქაჩლები იუტელ ბებრებს თმაში ჭაღარას უთვლიან



AP მემფისიდან

იუტელებმა ჯონ სტოქტონმა და ბრაიან რასელმა მემფისელი პაუ გასოლი გამოიჭირეს

**11 მარტი**

**ვაშინგტონი 99:104 ბოსტონი**
ვაშინგტონი: ჰამილტონი (31)
ბოსტონი: პირსი (37), უოლკერი (19)

**მემფისი 79:78 იუტა**
მემფისი: გასოლი (20 ქულა, 11 მოხსნა)
იუტა: მარშალი (16), მელოუნი (14)

**მინესოტა 99:108 კლიპერსი**
მინესოტა: გარნეტი (26 ქულა, 11 მოხსნა)
კლიპერსი: მაილზი (20)

**დალასი 119:108 სიეტლი**
დალასი: ფინლი (26), ნეში (23)
სიეტლი: მეისონი (25), პეიტონი (22)

**ჩიკაგო 103:107 საკრამენტო**
ჩიკაგო: როუზი (35), კარი (17)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (29)

**ატლანტა 121:96 გოლდენ სტეიტი**
ატლანტა: ტერი (32), აბდულ-რაჰიმი (19)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (27)

**დენვერი 78:93 სან ანტონიო**
დენვერი: მაკდაისი (19)
სან ანტონიო: დანკანი (21), დანიელსი (19)

ეს მისტერია არცთუ ახლო წარსულში დაიწყო. 1998 წლის პლეი ოფის ფინალში „იუტამ" „ჩიკაგოსთან" ზედიზედ მეორედ წააგო და მეორე დღეს შეერთებული შტატების ყველა თავმოყვარე წმინდა სპორტულმა თუ ზოგადმა გაზეთმა იუტელთა ასაკზე მიაპყრო მკითხველთა ყურადღება. „ჯაზმა" წააგო წამყვან მოთამაშეთა გადაბერებულობის გამო" — ამის ან რაღაც ამგვარის დაწერა არავინ დაიზარა და მას შემდეგ აგერ, მეოთხე წელია, „ჯაზი" ლიდერთა სიბერის გამო აგებს.

ისე, მკითხველისთვის ჯონ სტოქტონისა და კარლ მელოუნის წლოვანების შემხსენებლებს ამის კეთება „იუტას" გამარჯვებებისას რატომღაც ავიწყდებათ. გამოდის, „ჯაზს" გადაბერება ამარცხებს, თავად კი მეტოქეებს როგორ სჯობნის, ღმერთმა უწყის.

ჩვენს ამერიკელ კოლეგებს არც ამჯერად გადაუხვევიათ კარგად გატკეპნილი შარაგზიდან და „იუტა ჯაზის" „მემფის გრიზლიზთან" ნამარცხევს დილის ამბით მოგვაწოდეს ინფორმაცია — „უკვე ვარსკვლავმა და ახლო მომავალში მეტად აელვარების პერსპექტივის მქონემ, უნიჭიერესმა ყმაწვილმა და ამისგან არგაზულუქებულმა არაამერიკელმა პაუ გასოლმა კვლავ გაიელვა და თავისი ბრწყინვალებით დაწვა ასაკით მამისტოლა კარლ მელოუნი, რომელსაც ურჩევნია, წვერ-ულვაშში ჭაღარის სწრაფ მატებას ყურადღება მიაქციოს, სანამ გასოლის შვილისტოლებიც დაუპირებენ დაჩაგვრას".

ჩვენ კი შევნიშნოთ, რომ სიბერის მიუხედავად, მელოუნი, ძმაკაც ჯონ სტოქტონთან ერთად, „იუტას" მაინც გაიყვანს პლეი ოფში, ხოლო მემფისელებს გასოლის ნამდვილ გაბრწყინებამდე და პლეი ოფამდე მოცდა მოუწევთ.

„მემფისის" ესპანელი იმედი თავისთავად ურიგო ბიჭი არაა, მაგრამ მელოუნობაზე მეოცნების გასავლელი გზა მელოუნის ერთი ძლევით არ თავდება.

გავუგოთ მემფისელთ. ამ ქალაქში ვანკუვერიდან ორიოდ თვის წინ გადმობარგებულები და ჯერაც განსავითარებლები კონკილა გამარჯვებებით ხარობენ. ისე კი, „მემფისი" თუ არა, სხვა მაინც მოიძებნება ისეთი, ვინც „იუტას" ლიდერთ თამაშზე ხელს აღებინებს.

მარადი სისუსტის სიმბოლოდ ქცეული და თვალებში ამ სეზონშიღა გამოხედილი „კლიპერსი" ელიტაში არა და საშუალოთა საზოგადოებაში გაწევრიანებისთვის ყირაზე გადადის. დასავლეთის რვა რჩეულთა პირობითი გაერთიანებიდან „იუტას" (ან ნებისმიერი სხვის) გამოგდების და იქ თავად შეცოცების სურვილით აღტკინებულმა ლოსანჯელესელებმა გუშინწინ მინესოტელ „მგლებზე" გაიწიეს და აკი ხელში მათი ბალანიც შერჩათ. ახალგაზრდული „კლიპერსიდან" ყველაზე თვალსაჩინოდ იღვაწა მხოლოდ ოცი წლის დარიუს მაილზმა, ვინც მარტო ბოლო მეოთხედში სამჯერ ჩაუტენა მისი თავხედობისგან გაოგნებულ და მატჩის ბოლომდე ვერც აზრზემოუსვლელ მასპინძლებს. „ჩვენ ძალიან ახალგაზრდული გუნდი ვართ, ყველა თამაშიდან რაღაც ახალს ვსწავლობთ და წინ წასვლას ვაპირებთ" — უთქვამს „კლიპერსის" გამთამაშებელ ჯეფ მაკინისს, რომელსაც „მგლების" დაფრენაში მაილზზე ბევრად ნაკლები წვლილი არ მიუძღვის.

**ირაკლი ფირუზვილი**

# დაუნახავმაც დაინახა

**რითი** განსხვავდება ბილ კარტრაიტისგან დამოძღვრილი „ჩიკაგო ბულზი" ტიმ ფლოიდისეული „ჩიკაგოსგან"? ბევრი თვალშისაცემი და უფრო მეტი შეუმჩნეველი წვრილმან-მსხვილმანით.

სტუდენტურ კალათბურთში სახელმოხვეჭილმა ფლოიდმა სამი წელი ამაოდ იწვალა და 2001 წლის 28 დეკემბერს, თანამდებობიდან გადადგა, უფრო სწორად, გადააყენეს და მიზეზებიც დაუსახელეს — გუნდში შეინიშნებოდა არეულობა, გასახდელიდან ხშირად მოისმოდა ყვირილი, ფლოიდმა აითვალწუნა ორი თინეიჯერი ახალბედა, 2001 წლის დრაფტის მეორე და მეოთხე ნომრები — ტაისონ ჩანდლერი და ედი კარი, რომელთაც „ჩიკაგოს" მზე უნდა ამოიყვანონ და, რაც მთავარია, გუნდი გაუთავებლად აგებდა. ფლოიდი „ჩიკაგოდან" 239 თამაშში 190 მარცხით ზურგდამძიმებული წავიდა.

რაც შეეხება კარტრაიტს, მისი გუნდი გაწონასწორებულია და მწვრთნელ-მობურთალთ წარამარა არ უხდებათ ერთმანეთის გასაშველებლად ხელების დაკაპიწება. კარტრაიტი ყოველი თამაშის წინ საგანგებოდ ესაუბრება ჩანდლერს და კარის, მათ სასტარტო ხუთეულის კარსაც ხშირად უხსნის. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ კარტრაიტისეული „ჩიკაგო" ხანდახან მაინც ამჟღავნებს სიცოცხლის ნიშანწყალს. მის ხელში „ჩიკაგომ" თამაშების ერთი მესამედი მოიგო, რაც წლების განმავლობაში ნატანჯ „ხარებს" შვებად უჩანთ. „ბულზმა" ბოლო ორ წელიწადში ზედიზედ სამ თამაშში პირველად გაიმარჯვა და ერთი გემრიელი ლუკმაც გაუხერხა შეთხელებულ ქომაგობას — ერთ კვირაში ორჯერ, შინაც მოუგო „ლეიკერსს" და გარეთაც. ასე რომ, ახლად გამთავარმწვრთნელებული კარტრაიტი ბუზების ნაცვლად გამარჯვებებს ითვლის.

„ჩიკაგოს" გენერალურ მენეჯერ ჯერი კრაუზეს საერთოდ უმადურ და დაუნახავ კაცად იცნობენ, მაგრამ კარტრაიტთან მიმართებაში მას ასეთად ვერ დავახასიათებთ. გოდორა კრაუზე ემადლიერება კარტრაიდს და მისდამი კეთილგანწყობა საქმითაც დაამტკიცა. გუშინწინ „ხარების" აზრზე მომყვანმა და თავადაც ძირძველმა „ხარმა" ბილ კარტრაიტმა კლუბთან წინასწარ გააფორმა სამწლიანი კონტრაქტი, რომლის თანახმადაც 2005 წლამდე გაწვრთნის კრაუზესგან დაქირავებულ მუტწილად ზანგ და აზმახ ბიჭებს და ყოველწლიურად მილიონნახევარ დოლარს აიღებს. ეს ხელფასი ცოტა როდია ახალბედა მწვრთნელისთვის. ალალად ვთქვათ და მოხუცი ბილი იმსახურებდა მას.

**ირაკლი ფირუზვილი**



AP ჩიკაგოდან

გოდორა ჯერი კრაუზეს სიურპრიზი: ბილ კარტრაიტი სამწლიანია

# სამპრასი დამჯერი ბავშვია ჰინგისი: მარწყვის მურაბა გუდის ყველით



პიტ სამპრასი

ინდიან უელსი. კალიფორნია. პარდი ქალები. საპრიზო 2,1 მილიონი $

**მეოთხედფინალი**

**მარტინა ჰინგისი** (2, შვეიცარია) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:0, 6:3; **დანიელა ჰანტუჩოვა** (18, სლოვაკეთი) — ჟუსტინ ენენი (3, ბელგია) 6:3, 6:3; **მონიკა სელეში** (4, აშშ) — აი სუგიამა (22, იაპონია) 6:0, 6:1; **ამანდა კუტცერი** (10, სამხრეთ აფრიკა) — ალექსანდრა სტივენსონი (25, აშშ) 6:1, 5:7, 7:5; **არანჩა სანჩეს ვიკარიო** (9, ესპანეთი) — სილვია ფარინა ელია (იტალია) 6:4, 7:6 (7:4); **ლიზა რეიმონდი** (12, აშშ) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 6:2, 6:3; **ემანუელე გალიარდი** (შვეიცარია) — ანასტასია მისკინა (28, რუსეთი) 1:6, 7:6 (7:4), 7:6 (7:5); **ანა სმაშნოვა** (ისრაელი) — მეგან შონესი (6, აშშ) 4:6, 6:3, 6:1

უწლოვან დანიელა ჰანტუჩოვასთან ერთად ჟუსტინ ენენს წინა კვირაში რამდენიმე ვარჯიში გაუმართავს და მისი ხათქუნა ხელწალმა-უკუდარტყმითაც ერთობ ნაამები დარჩენილა. როცა ორივე მათგანმა თავ-თავისი სამესამეწრედ მატჩი მოიგო და ბედმა ისინი ერთმანეთს დააჯახა, ენენს კავშნიანი ფიქრები მისძალებია — ფიქრებს ხელში დანიელას ჩოგანი ეპყრათ და მას კორტის ერთი კუთხიდან მეორეში არბენინებდნენ...

მესამე ნომრად განთესილი ბელგიელის მქისე წარმოსახვებს მწარე რეალობად ქცევა ეწერათ. ენენი მთელი მატჩის განმავლობაში შესამჩნევად ნერვიულობდა და ცალკერძ მოჭოჭმანე ჩაწოლების, ცალკერძ მოყოყმანე დახვედრის გამო ნორჩ მეტოქეს უამრავი მუქთი ქულა უფეშქაშა.

ნამატჩევს მან გულწრფელად აღიარა, რომ ჰანტუჩოვასთან თამაშის წინადამე მართლაც კოშმარულ და ქუშარდვია ფიქრებში გატარა. „მასთან რამდენიმე დღე ვივარჯიშე და დავრწმუნდი, რომ ძლიერად თამაშობს. ეტყობა, ამან მაგრად დამაფრთხო და მასთან თამაშის წინ ჩემი თავი თვითონვე დავიმონე... ისე კი, დანიელა მართლაც კარგად გაირჯა, მე კი ვერაფრით შევძელი, საკუთარი თამაში განმევითარებინა" — დაუძენია. ხლოვაკი გოგონა კი ნამატჩევს დამსახურებულად ქლურტულებდა და აი, უკეთ რაღაცებსაც იძახდა: „ეს ჩემი საუკეთესო და უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაა... მსოფლიოს მე-7 მეჩოგნის ძლევა ხუმრობა არ გეგონოთ... ახლა ფიზიკურადაც ძლიერად ვარ და მენტალურადაც" — და ასე შემდეგ და ასე მწითურად და რამე.

ენენისგან განსხვავებით, კვლავაც დამარბეულად და წყალგაუვლად თამაშეს მარტინა ჰინგისმა (2) და მონიკა სელეშმა (4) — ტურნირზე შერჩენილ ხუთეულთაგან უპირველესებმა. ოღონდაც ეგ ამბავი ისე იყო, რომ სელეშმა იაპონელ აი სუგიამას ფორა მანსაც არ დაუტოვა, ჰინგისმა კი, წინა წრეში ელენა ლიხოვცევასთან შეხვედრისა არ იყოს, ერთი აქაც ჩაყვინთა და ზიმბაბველ კარა ბლეკს მეორე სეტში, 1:0-ზე ჯერ თავისი გეიმი წაართმევინა, მერე კი მისიც დაუთმო (1:2). მართალია, ინციდენტი მაითვე ამოაწურა და მართამ უმალვე შეძლო, სასწორი ისევ თავისკენ გადაეხარა, მაგრამ ქომაგებსაც და სპეციალისტებსაც პირში მაინც ოდნავ უსიამო გემო დაუტოვა — აი, ისეთი, მარწყვის მურაბაზე გუდის ყველმა რომ იცის ხოლმე. „ჰო, ერთ მომენტში მართლაც გავითიშე, მაგრამ შემდეგ ფოკუსი გავისწორე და ისე ავთამაშდი, როგორც საჭირო იყო. ისე კი, მგონი, გუშინდელზე უკეთესი სანახავი ნამდვილად ვიყავი" — თქვა მან ნამატჩევს.

რაც შეეხება სელეშს, მეოთხედფინალამდე მიმავალ გზაზე მან ჯამში მხოლოდ 6 გეიმი წააგო, ხოლო უკლებლივ ყველა მატჩში პირველ სეტს 6:0 იგებდა. თუკი ყველაფერი წესისამებრ წარიმართება და სელეშში ბებერ სანჩეს ვიკარიოს, ხოლო ჰინგისი პოტრივველა ალექსანდრა სტივენსონის მძლეველ ამანდა კუტცერს მოუგებს, მონიკა და მარტინა ერთმანეთს ნახევარფინალში შეეყრებიან. დანარჩენ მეოთხედფინალურ წყვილებს კი ერთი რომ ემანუელე გალიარდი და ანა სმაშნოვა, ხოლო მეორეც — ჰანტუჩოვა და ლიზა რეიმონდი შეადგენენ.

კაცები. საპრიზო 2,95 მილიონი $

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:4, 6:4; **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) — ტომას იოჰანსონი (8, შვედეთი) 7:6 (7:4), 2:6, 6:4; **პიტ სამპრასი** (10, აშშ) — მერდი ფიში (აშშ) 7:6 (7:5), 6:2; **ევგენი კაფელნიკოვი** (2, რუსეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:5, 6:3; **მარატ საფინი** (7, რუსეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:4); **ალექს კორეჩა** (ესპანეთი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:2, 6:4; **ატილა სავოლტი** (უნგრეთი) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:5), 7:6 (7:1); **ვისენტე ფერნანდო** (ესპანეთი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:5, 6:3; **ნიკოლას ესკუდე** (საფრანგეთი) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:3, 6:0; **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 7:6 (9:7), 6:3; **გასტონი გაუდიო** (არგენტინა) — გილერმო კანასი (15, არგენტინა) 6:4, 6:2; **ტიმ ჰენმანი** (9, ბრიტანეთი) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:2, 6:7 (7:9), 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:3

თავისზე 10 წლით უმცროსი თვისტომის, მერდი ფიშის ძლევით პიტ სამპრასმა, სულ მცირე, ორი რამ კიდევ ცხადყო. პირველი ის, რომ მას კვლავაც ძალუძს კორტზე აურევა ხალხის მოზიდვა, მეორეც ის, რომ მას ჯერაც საჩოგბურთო ამქრის ერთი ყველაზე უძლავრესი ნაწოდება აქვს. მსოფლიოს 141-ე ჩოგანმა ფიშმა ეს საკუთარ ტყავზეც გამოსცადა, როცა 13-გზის მესლემტიტულისგან 18 შოლტივით ეისი მიიღო. და მერე რა, რომ პიტს უკვე ორი წელია, კინკილა ტიტულიც არ მოუგია — 16-ათასიანი „ტენის გარდენი", მანამდე რომ განგურიან ბიზონს უფრო ჰგავდა, კორტზე მისი გამოსვლისას პირთამდე გადავსებულიყო და აგრიგალებული ტბასავით იღღვრებოდა.

თავის ახალ მწვრთნელ ხოსე იგერასსა და ქომაგთა მილეთსაც პიტმა ძალღვები მხოლოდ პირველ სეტში აუშალა, როცა ჭაბუკი მეტოქისთვის ვერც ერთი გეიმის წართმევა ვერ შეძლო და საქმე ტაიბრეიკზე საბედრადლ გაიხადა. მაგრამ მეორეში დიდმა ჩემპიონმა ჩოგანი ჩვეულებისამებრ გაალაღა და ისე დაშხოშიანად იბურთავა, რომ ნამატჩევს ტრიბუნები ფეხზეც წამოუდგნენ და ჰალალი ოვაციებიც მიუძღვნეს. მერე კი... მერე კი მოხდა ერთი უჩვეულო ამბავი, როცა კორტიდან გასული პიტი უკან ხოსე იგერასთან ერთად შებრუნდა და... დასტურ ვარჯიში გააჩაღა! ვარჯიშმა 15-20 წუთი მაინც გასტანა და ხალხიც და პრესკონფერენციის მომლოდინე ჟურნალისტებიც კაი მაგრად გააოცა.

„ჰო, ეგეთი რამე ალბათ უკვე 10 წელია, აღარ მიკისრია, — ახსნა მან შემდეგ — მაგრამ ხოსეს უნდა, რაღაც-რაღაცები უკეთ დამამუღამებინოს და მეც ვეთანხმები. იქნებ შეამჩნიეთ, პირველ სეტში ერთი-ორჯერ ბითური შეცდომები დავუშვი და ეგ ყველაფერი გამოსასწორებელია. ეგეც არ იყოს, ახალი ჩოგნის გამოცდაც გვინდოდა, ძუების და რამე ეგ იყო და ეგ!"

ხხვაფრივ — პირველ წრეში მოთამაშე ბობოლათაგან ასევე ორსეტიანი გამარჯვებები მოიპოვეს ლეიტონ ჰიუიტმა (1), ევგენი კაფელნიკოვმა (2) და მარატ საფინმა (7). აქედან განსაკუთრებით შთამბეჭდავი მსოფლიოს პირველი მეჩოგნე ოზის გარჯა გახლდათ, ვინაც ორიოდე კვირის წინ აკაპულკოში ნახევრებ კარლოს მოიას უკლა. ამერიკის მაგარ საფარზე ეს ჰიუიტის ზედიზედ მეცამეტე გამარჯვება გახლდათ — შარშანდელი აშშ-ის ღია პირველობიდან მოყოლებული და წლევანდელი (მის მიერვე მოგებული) სანხოსეური ტურნირით გაგრძელებული მას სწორედ ამდენი შეხვედრა დაუგროვდა. „აქაური საფრები ძალიან მომწონს — ჩემს სტილსა და ჯიგარს შეესაბამება და იმიტომ! აქაური პუბლიკაც მაგრად მეკასება, ის ხომ ასეთი ალმგზნები და ამხალისებელია" — უთქვამს ჰიუიტს.

და კიდევ — შედაშვედურ შეხლაში ტომას ენკვისტმა თავისი წლევანდელი მეავსტრალიე თვისტომისა და სეხნიის, იოჰანსონის ჯუბა დახია. ჩემპიონთა რბოლის ამჟამინდელ ლიდერს ბოლო მესამე სეტში უჯიგროდ დათმობილმა საკუთარმა გეიმმა მოუღო ბოლო.

სულ ღმერთს კი ალბათ იმის დამატებაც ხამს, რომ კალიფორნიაში ახლა მეტად ცხელა ხვატია და თუკი ვინმე სათანადოდ ვერ ჩაუქრობს, ეგ ალბათ ამის გამოც უნდა ხდებოდეს.

ხოლო ტურნირის შარშანდელ ფინალში — ეგებ ვინმეს არ გახსოვდეთ და — ანდრე აგასიმ სწორედ პიტ სამპრასს მოუგო.

**ლევან ძელაურაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუნაგში მატჩებაა

## ზამთარში ორმა დათვმა დაიძინა, სამმა გაიღვიძა

**აპრილში** დასაწყებ ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას შეუდგა ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი ბათუმის „დათვები". ზღვისპირელები ამ უქმეებზე შეიკრიბნენ და მთავარ მწვრთნელ ლევან მგელაძის მეთაურობით ანგისას მოედანზე ვარჯიშს შეუდგნენ.

წლეულს ბათუმელები სამი გუნდით ითამაშებენ საქართველოს ჩემპიონატში: „დათვები" და „დათვები 2" უმაღლეს ლიგაში, „დათვები 3" პირველ ლიგაში. რამდენი გუნდით იბრძოლებს ვიცე-ჩემპიონი საქართველოს თასისთვის, ეს ჯერ არ გადაწყვეტილა. გარდა ამისა, ზღვისპირელებს ზაფხულში ევროპის პროვინციათა თასზე თამაშიც ელით ინგლისის, ირლანდიის, საფრანგეთის და იტალიის გუნდებთან.



ემზარ ძაგნიძე

რადაი ბათუმელებს სამ ფრონტზე მოუწევთ ბრძოლა, გუნდის გაძლიერებაც გადაუწყვეტიათ. „დათვებში" თამაშის სურვილი უკვე გამოთქვეს და გუნდთან ერთად ვარჯიშობენ ყოფილი აიელები, ბოლო დროს რუსეთმოვლილი — ემზარ ძაგნიძე, ზურაბ კოკაჩეიშვილი და გიორგი ჩუბინიძე. სამივეს ადრეც უთამაშია ბათუმში. ძაგნიძე და ჩუბინიძე 1999 წელს საქართველოს ჩემპიონებიც გახდნენ „დათვების" შემადგენლობაში, კოკაჩეიშვილს კი შარშან ვერცხლი ერგო. დარჩებიან თუ არა კლუბში ქუთაისელები, ამას უფროსობა გადაწყვეტს. ამათ გარდა ბათუმში რამდენიმე ახალწვეულს ელიან. გამორიცხული არ არის, გუნდში რუსი ანაც უკრაინელი ლეგიონერებიც გამოჩნდნენ.

**ბაჩო სვანიძე**

# საქართველო — რუმინეთი ერთი დღით ადრე

## რუმინელები 6 აპრილზე ყაბულს არიან

**ევროპის ერთა თასის** ბოლო ტურის მატჩი საქართველო — რუმინეთი ადრე თქმული 7 აპრილის მაგივრად, ალბათ, 6 აპრილს გაიმართება.

საქმე ისაა, რომ საქართველოს რაგბის კავშირმა თხოვნით მიმართა რუმინელებს, ეგებ ეს მატჩი ერთი დღით ადრე ვითამაშოთო. ამით ჩვენს ლეგიონერებს თავ-თავიანთ კლუბებში დაბრუნება არ დაუგვიანდებათ. რუმინელებს უარი არ უთქვამთ, რაკი შარშან მსგავსი პრობლემა მათაც აწუხებდათ და საქართველოს რაგბის კავშირიც დათანხმდა რუმინელთა თხოვნას, ბუქარესტული მატჩის 8 აპრილიდან 7 აპრილს გადმოტანაზე. კარპატელებმა ვალი პირნათლად დააბრუნეს. ჯერი ახლა FIRA-AER-ზეა, რომელსაც გადამწყვეტი სიტყვა ეთქმის. ისე, ნაკლებად სავარაუდოა, ევროპული რაგბის მამებმა საქმე გააჯანჯლონ, ვინაიდან მეტოქეები უკვე მორიგდნენ.

მანამდე, 24 მარტს, ბორჯღალოსნებს არანაკლებ პრინციპული და მნიშვნელოვანი მატჩი ელით ესპანელებთან. თუ ჩვენმა მორაგბეებმა მადრიდში მოიგეს, რუმინელებმა იმავე დღეს რუსებს აჯობეს, მაშინ საქართველო — რუმინეთი გადამწყვეტი იქნება. სწორედ თბილისში გაირკვევა წლევანდელი თასის მფლობელი და ორწლიანი ჯამური მაჩვენებლით პირველ-მეორე ადგილოსანი.

**ბაჩო სვანიძე**



### მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში მესამე ეტაპი. კორსიკა

# პეჟოობა ბეწვის ხიდზე

**რალისტთა** მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი, ფრანგული ეტაპი, ანუ კუნძულ კორსიკის ტური, სირთულითაც და მნიშვნელობითაც გამორჩეულთა შორისაა. რბოლის ტრასა მთებში, სერპანტინებიან ვიწრო, თუმც მოასფალტებულ გზებზე გადის. ასეთ მძიმე პირობებში უმცირესი შეცდომაც კი შეიძლება ტრაგედიის მიზეზი გახდეს, რადგან უმეტეს ადგილას ხევში გადაჩეხვისგან დამცავი ბარიერები არ არის მოწყობილი. შარშან სწორედ ერთ-ერთ ასეთ მონაკვეთზე შეემთხვა ავარია ოთხგზის ჩემპიონ ტომი მაკინენს და ხრამში ჩავარდნას მართალია ბეწვზე გადაურჩა, მაგრამ შტურმანი რისტო მანისენმაკი ისე მძიმედ დაუშავდა, რომ საოპერაციო შეიქნა და ბოლომდე ჯერაც ვერ გამოჯანმრთელებულა.

ტიტულიანმა ფინელმა ვერც ამჯერად მიაღწია ფინიშამდე — მეორე სარბოლო დღეს, მორიგ ჩქაროსნულ უბანზე მანქანა მოუსრიალდა, ლოდს მიახეთქა და მარცხენა წინა შეკიდულობა დალეწა.

რაკი რბოლა ასფალტიან გზებზე მიმდინარეობდა, გამარჯვებული ბევრისთვის დაწყებამდე იყო ცნობილი — „ასფალტის არაოფიციალური მსოფლიოს ჩემპიონების" ჟილ და ერვე პანიზების ეკიპაჟი. ამასთან ფრანგი ძმები თავიანთ სამშობლოში ასპარეზობდნენ მშობლიური „პეჟოთი". ასე რომ, ყოველივე ამის გათვალისწინებით, როგორ შეიძლებოდა მათ ყველასთვის არ ეჯობათ „საკუთარ მოედანზე", კორსიკის რიგით 44-ე რალიში. თუმცა პანიზების უზარმაზარი უპირატესობით გამარჯვებას, ალბათ, ბევრი არც მოელოდა. ძმები პირველივე სპეცმონაკვეთის შემდეგ დაწინაურდნენ და საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა, რომ თითქმის 400-კილომეტრიან ჩასათვლელ დისტანციაზე ერთხელაც ვერავინ ჩამოართვა ლიდერობა. 36 წლის პილოტმა მეორედ მოიგო კორსიკის რალი, მიმდინარე სეზონში პირველი ქულები მოიპოვა და სატურნირო ცხრილშიც მოწინავეთა შორის დადგა.

საფინიშო სიტუაციამ მაინც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — სამივე საპრიზო ადგილი „პეჟოებით" მოასპარეზეებმა დაიკავეს და სახელგანთქმული ფრანგული ავტოგიგანტი გუნდური 36 ქულით სავრძნობლად გაიჭრა წინ მიუხედავად იმისა, რომ დებულებით მხოლოდ ორი საუკეთესო შედეგი ითვლება. „ფორდს" 20 ქულა აქვს, „სუბარუს" — 16.

მეოთხე ეტაპი 22-24 მარტს ესპანეთში გაიმართება.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) | 3სთ; 54.40,3 |
| 2 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | ჩამორჩა 40,5 |
| 3 | რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო) | 52,4 |
| 4 | ფილიპ ბუგალსკი (საფრანგეთი, სიტროენი) | 2.02,2 |
| 5 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 2.28,2 |
| 6 | კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) | 2.32,8 |

**საერთო ჩათვლა**

1. მარკუს გრონჰოლმი 18 ქულა; 2-3. ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) და ჟილ პანიზი 10-10; 4. კარლოს საინსი 9; 5. რიჩარდ ბარნსი 7; 6-7. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) და ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) 6-6; 8. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, მიცუბიში) 4; 9. ფილიპ ბუგალსკი 3; 10. პეტერ სოლბერგი 3.

# ორად ხომ არ გავიჭრებით?! რომელმა დამთხვეულმა დაამთხვია ევროპა და მსოფლიო?


პაველ როსტოვცევი

**ამ** წერილში ორი მოვლენა უნდა აღვწეროთ: ფინურ კონტიოლახტიში ევროპის ბიათლონის ევროპირველობა დასრულდა და პარალელურად მსოფლიოს თასის ეტაპები გაიმართა შვედეთის ოსტერსუნდში.

ხოლო რადგან ადამიანის ორად გაჭრა (საქმის კუთხის თვალსაზრისით) შეუძლებელია და მსოფლიოს ბიათლონი კი ფაქტობრივად ევროპის ბიათლონია, ლოგიკურად აღიძვრება კითხვა: სად იყო ელიტა? ანუ მთელი ეს ბიორნდალენები, ფორსბერგები და ფიშერები. სად და თასზე, ხოლო ჩემპიონატის შედეგთა გრაფაში ცნობილი გვარები თითქმის არ ყოფილა.

მოკლედ, ეს ის შემთხვევაა, როცა თასი სტატუსით უფრო მაღალ ჩემპიონატზე წინ უნდა დავაყენოთ და მეტი ადგილი დავუთმოთ. ოსტერსუნდში ორივე სქესმა ორ-ორი ეტაპი ჩაატარა. ოდნავ ნერვები დაუწყნარდებოდა რუს პაველ როსტოვცევს, რომელიც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე ალმოჩნდა. მაშინ როსტოვცევი ჩიოდა, ლიპინგ-ტესტისთვის ზომაზე მეტი სისხლი აიღეს, უსიჯო გამხადეს და შედეგი ამიტომ ვერ მოვიპოვეო. კვირას რუსმა 12,5 კილომეტრზე გამოდევნება მოიგო ძირითადად ფაქიზი სროლის წყალობით. არც ერთი აუცილია, როცა წინადღეს სპრინტის ეტაპის მომგებმა სვენ ფიშერმა 4-ჯერ ისროლა არაზუსტად. უკულმართად ხმარობდა შაშხანას სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის გმირი, ოლე ეინარ ბიორნდალენიც (4 აცდენა), თორემ ის და ფიშერი როსტოვცევს ბევრად კი არ ჩამორჩენილან. იხილეთ შედეგთა განყოფილება.

ნორვეგიელმა ლივ გრეტე სკელბრეიდ-პუარემ ქალების სპრინტი მოიგო, მეორე დღის გამოდევნებაზე კი მაგდალენა ფორსბერგმა აიწყვიტა, რომელმაც ერთი საჯარიმო წრე კი შეასრულა, მაგრამ ისე გარეკა თხილამურები, რომ 10 წამი მაინც მოუგო სრულიად უჯარიმო ფრანგ ბიათლონისტს. რუსეთის არმიის, იმედია, უკვე ოფიცერი (თავდაცვის სამინისტროში შეამდგომლობა შესულია) და ოლიმპიური ჩემპიონი ოლგა პილევა ისროდა ცუდად (4 საჯარიმო წრე), სრიალებდა ლუნედ და ინებეთ შედეგი: მე-14 ადგილი.

ევროპის ჩემპიონატზე კი მოგახსენებთ, რომ იგი უფრო ახალგაზრდა კადრების საწვრთნელი ლონისძიება იყო და რუსებს კაცი გამოუჩნდათ. უცნობმა ყმაწვილმა მაქსიმ ჩუდოვმა ჯერ იუნიორთა 15 კილომეტრი მოიგო, მერე კი თითქმის მარტომ რუსეთის ნაკრები ესტაფეტის ჩემპიონიც გახადა. დანარჩენი ესტაფეტები უცლებლივ გერმანელებმა მოიგეს. გუნდური ჩათვლაც მათ დარჩათ.

**დავით გულუა**

## მსოფლიოს თასი

**ვაჟები**

**სპრინტი**

1. სვენ ფიშერი (გერმანია) 26.39,7 (1 საჯარიმო წრე); 2. მიხაელ გრაისი (გერმანია) +13,9 (0); 3. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) +28,9 (3)

**12,5 კმ გამოდევნება**

1. პაველ როსტოვცევი (რუსეთი) 36.26,7(0); 2. სვენ ფიშერი (გერმანია) +8,2(4); 3. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) +28,0(4)

**საერთო ჩათვლა**

1. პაველ როსტოვცევი (რუსეთი) 617; 2. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) 598; 3. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) 544

**ქალები**

**სპრინტი**

1. ლივ გრეტე სკელბრეიდ-პუარე (ნორვეგია) 23.22,9(1); 2. სანდრინ ბაი (საფრანგეთი) +19,1(1); 3. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) +28,7(1)

**10 კმ გამოდევნება**

1. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) 30.15,4(1); 2. ფლორანს ბევერელ-რომბერი (საფრანგეთი) +10,0(0); 3. ეკატერინა დაფოვსკა (ბულგარეთი) +23,6(1)

**საერთო ჩათვლა**

1. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) 732; 2. ლივ გრეტე სკელბრეიდ-პუარე (ნორვეგია) 641; 3. ოლგა პილევა (რუსეთი) 593

## ევროპის ჩემპიონატი

**ვაჟები**

**10 კმ სპრინტი**

1. ოლეგს მალუხინსი (ლატვია) 27.24,5(1); 2. კარსტენ პუმანი (გერმანია) +10,2(1); 3. ტომაშ სიკორა (პოლონეთი) +21,0(0)

**12,5 კმ გამოდევნება**

1. ოლეგს მალუხინსი (ლატვია) 36.36,4(1); 2. კარსტენ პუმანი (გერმანია) +21,6(1); 3. ილმარს ბრიკისი (ლატვია) +50,1(0)

**20 კმ ინდივიდუალური**

1. ანდრიი დერიზემლია (უკრაინა) 56.55,5(0); 2. ტომაშ სიკორა (პოლონეთი) +1.24,6; 3. ვოიცეხ კოზუბი (პოლონეთი) +2.44,2(1)

**4X7,5 კმ ესტაფეტა**

1. გერმანია 1:26.55,1(13); 2. უკრაინა 1:27.07,1(8); 3. ლატვია 1:27.11,3(12)

**ქალები**

1. ირინა მალგინა (რუსეთი) 24.22,3(0); 2. რადკა პოპოვა (ბულგარეთი) +51,0(0); 3. ლივ კრისტი ეიკელანდი (ნორვეგია) +1.10,8(0)

**10 კმ გამოდევნება**

1. ირინა მალგინა (რუსეთი) 33.33,0(0); 2. რადკა პოპოვა (ბულგარეთი) +2.29,9(0); 3. ოლგა რომაშკო (რუსეთი) +2.45,6(1)

**15 კმ ინდივიდუალური**

1. რადკა პოპოვა (ბულგარეთი) 48.58,2(0); 2. ირინა მალგინა (რუსეთი) +1.35,4(0); 3. ირენა სეჩნეკოვა (ჩეხეთი) +3.02,2(2)

**4X7,5 კმ ესტაფეტა**

1. გერმანია 1:42.02,5(10); 2. რუსეთი +20,3(13); 3. უკრაინა +32,8(9)



## NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ზავის ძალიონი ინდიელმა ჩააქრო

**11 მარტი**

**კაროლინა 3:3 კალგარი 1:1 1:1 1:1 0:0**

0:1 კონროი (7), 1:1 ფრენსისი (20), 1:2 იგინლა (30), 2:2 ბატალია (33), 3:2 ვენიელსი (42), 3:3 კონროი (59)

კაროლინა კვლავ ვერ გადაურჩა სეზონში 24-ე, ხოლო საშინაო თამაშებში ზედიზედ მეექვსე (!) ოვერტაიმს. მასპინძლებმა ეს ყოველივე საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რადგან კალგარის ბოლოსწინა წუთზე გაათანაბრებინეს. ჯერომ იგინლამ მორიგი 2(1+1) ქულით კიდევ უფრო გაიმყარა ლიდერობა ბომბარდირთა შორის — 79(43+36) ქულა.

**რეინჯერსი 2:1 მონრეალი 0:0 0:0 2:1**

1:0 კლუჩკი (55), 1:1 დაიპიუსი (56), 2:1 მაკარტი (60)

რეინჯერსმა მთავარ კონკურენტ მონრეალს წლეულს მეოთხე თამაშიც მოუგო, ოღონდ აშკარად მსაჯების დახმარებით. არბიტრებმა ჯერ ლუგ გილმორს არ ჩაუთვალეს, ბოლო წამებზე კი სენდი მაკარტის თანამსაჯიხვან ასხლეტილი შაიბა მიუვიდა და ინდიელმაც შეირგო ბედის საჩუქარი.

**პიტსბურგი 2:4 კოლუმბუსი 0:1 2:2 0:1**

0:1 უიტნი (16), 0:2 უიტნი (22), 1:2 მოროზოვი (30), 1:3 სილინჯერი (32), 2:3 კოვალიოვი (37), 2:4 სილინჯერი (60)

რეი უიტნი-მაიკ სილინჯერის დუეტს „პინგვინებმა" ვერაფერი დაუპირისპირეს (ორივემ 4-4 ქულა მიითვალა) და საგრძნობლად გაიუარესეს საპლეიოფო შანსები.


რეინჯერსი — მონრეალი. სტუმარ ქოზე თეოდორის კართან შემტევი და დამცველი ერთმანეთში აირია

REUTERS

**სენტ ლუისი 2:3 კოლორადო 1:0 0:1 1:2**

1:0 პოდინი (9), 1:1 რაინპრეხტი (30), 1:2 საკიკი (49), 1:3 რაინპრეხტი (54), 2:3 მელანზი (59)

ამბობენ, საგოლე მომენტების გამოყენება კლასის მაჩვენებელიაო. თუ ასე მივუდგებით საქმეს, ლღესათვის კოლორადო სენტ ლუისზე გაცილებით ოსტატური გუნდია. მასპინძლებმა ორჯერ მეტი დაარტყეს, მაგრამ... სენტ ლუისს ოლიმპიადის შემდეგ არ მოუგია.

**ლოს ანჯელესი 2:1 ჩიკაგო 1:0 0:1 1:0**

1:0 პალფი (20), 1:1 არნასონი (22), 2:1 ბუშე (56)

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთ კონფერენცია** | | | | | | | |
| ფილადელფია | 64 | 37 | 6 | 3 | 18 | 198:148 | 83 |
| ბოსტონი | 66 | 34 | 5 | 7 | 20 | 194:166 | 80 |
| კაროლინა | 68 | 28 | 13 | 5 | 22 | 182:191 | 74 |
| ტორონტო | 65 | 34 | 7 | 4 | 20 | 190:163 | 79 |
| ოტავა | 65 | 32 | 8 | 5 | 20 | 201:161 | 77 |
| აილენდერსი | 64 | 31 | 7 | 3 | 23 | 188:179 | 72 |
| რეინჯერსი | 67 | 30 | 4 | 4 | 29 | 184:206 | 68 |
| ნიუ ჯერსი | 65 | 28 | 9 | 3 | 25 | 156:151 | 48 |
| მონრეალი | 66 | 27 | 9 | 3 | 27 | 168:176 | 66 |
| ვაშინგტონი | 66 | 27 | 10 | 1 | 28 | 179:197 | 65 |
| ბუფალო | 64 | 27 | 8 | 1 | 28 | 170:160 | 63 |
| პიტსბურგი | 66 | 26 | 6 | 4 | 30 | 160:192 | 62 |
| ტამპა | 64 | 23 | 6 | 3 | 32 | 132:159 | 55 |
| ფლორიდა | 65 | 18 | 6 | 5 | 36 | 142:201 | 47 |
| ატლანტა | 66 | 16 | 7 | 4 | 39 | 150:235 | 43 |
| **დასავლეთ კონფერენცია** | | | | | | | |
| დეტროიტი | 66 | 46 | 6 | 2 | 12 | 209:142 | 100 |
| კოლორადო | 67 | 38 | 7 | 1 | 21 | 176:136 | 84 |
| სან ხოსე | 65 | 35 | 7 | 3 | 20 | 195:158 | 80 |
| ჩიკაგო | 66 | 35 | 9 | 1 | 21 | 184:171 | 80 |
| ლოს ანჯელესი | 66 | 31 | 9 | 4 | 22 | 176:153 | 75 |
| სენტ ლუისი | 64 | 31 | 8 | 3 | 22 | 172:150 | 73 |
| ფინიქსი | 65 | 30 | 8 | 5 | 22 | 171:167 | 73 |
| დალასი | 64 | 30 | 7 | 4 | 23 | 170:168 | 71 |
| ედმონტონი | 67 | 28 | 11 | 2 | 26 | 167:159 | 69 |
| ვანკუვერი | 66 | 29 | 6 | 3 | 28 | 196:181 | 67 |
| კალგარი | 66 | 27 | 10 | 3 | 26 | 162:175 | 67 |
| ნეშვილი | 65 | 25 | 11 | 0 | 29 | 156:170 | 61 |
| მინესოტა | 66 | 22 | 10 | 6 | 28 | 158:190 | 60 |
| ანაჰაიმი | 66 | 23 | 6 | 3 | 34 | 147:167 | 55 |
| კოლუმბუსი | 66 | 18 | 8 | 3 | 37 | 133:194 | 47 |

## კვირის მოთამაშე

### მარიან გაბორიკი (მინესოტა)



ჩემპიონი ამ კვირის შედეგებით რომ გამოვლენილიყო, ტოტულს მინესოტა დაუუცილებლად. ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ეს 7 დღე ისე ჩაამთავრა, მის 15-წლიან ისტორიას არ ახსოვს. ოთხ თამაშში სამი მოგება და ერთი მარცხი, ისიც ოვერტაიმში. წაქცეულთა შორის კი არიან სენტ ლუისი და დალასი, რომელთაც „უაილდმა" სტუმრად აჯობა, თან ბრწყინვალე გუნდური ძალისხმევით. ამ გამარჯვებაში ყველამ შეიტანა თავისი წვლილი, ყველაზე ნაყოფიერად კი გუნდის 20 წლის ლიდერი მარიან გაბორიკი გაისარჯა. მანამდე კარგა ხანს 18 მატჩზე გაყინულმა სლოვაკმა უცბად იფეთქა და 4 მატჩში 7 გოლი გაიტანა. ყველაზე მეტად კოლუმბუსი (5:0) დააზარალა, ერთბაშად სამჯერ შეუგდო და ამას ერთი პასიც დაამატა. მარიანის დარტყმებმა ორჯერ სენტ ლუისი დაამწუხრა და იგი არც დანარჩენ ორ მატჩში დარჩენილა უგოლოდ. სლოვაკმა სადებიუტო სეზონის მაჩვენებლები ბევრად გააუმჯობესა და 54(25+29) ქულით ლიდერობს კიდეც თავის გუნდში. მისი მთავარი კონკურენტი კალგარელი ჯერომ იგინლა გახლდათ, რომელმაც ერთით ნაკლები გაიტანა.

**საუკეთესო ექვსეული. 4-10 მარტი**

*დუეინ როულსონი (მინესოტა, 1); პაველ კუბინა (ტამპა, 1) — ტეპო ნუმინენი (ფინიქსი, 1); მარიან გაბორიკი (მინესოტა, 1) — ჯერომ იგინლა (კალგარი, 3) — ალექსეი კოვალიოვი (პიტსბურგი, 2).*

# მაშ, ზოგი ბებერი ბებერია და ზოგი ახალგაზრდა ახალგაზრდა?!

**თანამედროვე** ნჰლ-ში ყველაზე საოცარი ის არის, ორმოცს მიახლოებული და გადაცილებული ვეტერანები ლიგის ცხრათვიან მარათონს რომ უძლებენ. ისინი ჯელებზე არანაკლებს დარბიან, ურტყამენ, იტანენ, ჩხუბობენ, ხოლო პლეი ოფში კიდევ უფრო უმატებენ, ვინაიდან ნჰლ-ის კლუბების უმრავლესობის თავკაცობა სათასო ბრძოლებში მეტწილად ვეტერანებს ენდობა. ორმაგად საკვირველია, როცა ტრავმებისა და ავადმყოფობის შემდეგ ისინი ჰოკეის უბრუნდებიან. საოცარია, როგორ შეძლო დაბრუნება დიდმა მარიო ლემიემ და რა ძალამ გააძლებინა კიდევ წელიწადნახევარი გამუდმებულ ბრძოლასა და ჩეხვაში. მართალია, ცოტა ხნის წინ მას მაინც დასჭირდა შესვენება, რადგან ეს რომ არ გაეკეთებინა, ინვალიდობა ემუქრებოდა, მაგრამ ხომ არ გგონიათ, „სუპერმარიოს" მზე საბოლოოდ ჩაესვენა? სულაც არა. მას უთქვამს, თუ მომდევნო სეზონამდე ნეკნი აღარ შემაწუხებს, აუცილებლად ვითამაშებ და საერთოდაც გამორიცხული არ არის, 40 წლამდე ვიასპარეზოო. და მარიო ლემიე ხომ ერთადერთი არ არის. მხოლოდ ბოლო ორი კვირის განმავლობაში ნჰლ-ს ორი ვეტერანი დაუბრუნდა, მცველი ჯონ ვანბისბრუკი და ფორვარდი ჯონ მაკლინი. ორივემ მარშან შეინახა ცოგურება, მაგრამ ჰოკეისთან განშორება ვერ შეძლო. ისინი საკმაოდ კარგად ასპარეზობენ. 37 წლის მაკლინმა 3 თამაშში 3 გოლი გაიტანა. სავარაუდოდ, სულ მალე დეტროიტს გერმანელი მცველი უვე კრუპი შეუერთდება. 36 წლის უვე ორი სეზონია, ტრავმებმა გააწამა და მხოლოდ ორიოდ თამაშში თუ მიიღო მონაწილეობა.

ყველაზე გამაოგნებელი კი მაინც ESPN-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციაა. სააგენტო ირწმუნება, რომ ყინულზე დაბრუნებას აპირებს 42 წლის სახელოვანი დინო სისარელი, კაცი-ლეგენდა, რომელიც ჯერ კიდევ სსრკ-კანადის გარეშეობრებელ პაექრობებში ბრწყინავდა და რომელმაც კარიერა 1999 წელს დაასრულა. „იმისთვის კი არ ვბრუნდები, რომ რომელიმე გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ ვაკანსია შევავსო. მე საბრძოლველად და თასის დასალაშქრად მოვდივარ" — უთქვამს სისარელის, ერთ-ერთს იმ თორმეტეულიდან, რომელთაც 600 გოლზე მეტი გაუტანიათ.

სისარელის უკვე უვარჯიშია ოლიმპიური პაუზის დროს დეტროიტის ბანაკში და მის შეძენას ერთბაშად რამდენიმე კლუბი ლამობს. სამი თვის წინ კი


დინო სისარელი

სისარელიმ ნეკნზე ოპერაცია გაიკეთა.

ქოლუარებში იმაზეც ლაპარაკობენ, შესაძლებელია, პლეი ოფში რეი ბურკეც ვიხილოთ. 43 წლის რეისთვის თურმე ბოსტონი და კოლორადო იბრძვიან.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ტოკიოდან

# ჩააბარძანეს

ტოკიოში ჩაუბრძანებიათ ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი ჯილდო, ფიფას ოქროს თასი. რა თქმა უნდა, იქვე ყოფილან სერ ბობი ჩარლტონი და იაპონიის პრემიერი იუნიჩირო კოიზუმი, რომელთაც იაპონიის ნაკრების ფრანგ მწვრთნელ, ფილიპ ტრუსიესთან ერთად წარუდგენიათ თასი საზოგადოებისთვის. თასი იაპონიის სწორედ იმ ათ ქალაქს მოივლის, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები გაიმართება.

# სარა სამშობლოში

სარა ჰიუზი ამერიკის ახალი გმირია. ფიგურულ ციგურაობაში ოლიმპიურ ჩემპიონს ქალაქ-ქალაქ დაატარებენ და პატივს მიაგებენ. ახლა სარას მშობლიურ ქალაქ გრეით ნეკშიაც ჩაუღწევია და იქ მეგობრებს უჩუქნიათ უბრალო, მაგრამ გულით ნაკეთები მედალი.



REUTERS გრეით ნეკიდან

# ბოთა შემცვლელა

ორგანიზაციის (ვბო) მძიმე წონის უკრაინელ ჩემპიონს, ვლადიმირ კლიჩკოს, როგორც იქნა, მეტოქე გამოუჩნდა — მრავალნაცადი სამხრეთაფრიკელი ხარი ფრანსუა ბოთა ამ შაბათს შტუტგარტში ეკრივება ჩემპიონს.



# უკვდავი

ეს კაცი, უკვდავი და დიადი მოღვაწე, რედ აუერბახი იმიტომ შეუწუხებიათ, რომ საკალათბურთო გუნდ „ბოსტონ სელტიკსის" ჯგუფურ ფოტოზე გამოჩნდეს. არც გასაკვირია, მისტერ აუერბახი ამ კლუბის პრეზიდენტი და საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეა. თუმცა, ეს შთამბეჭდავი სულაც არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი 1950 წლიდან ამ გუნდშია და ის, რასაც დღეს „ბოსტონ სელტიკსის" დიდი ისტორია ჰქვია, სწორედ მისი მწვრთნელობისასაა ნაშენები.



REUTERS ბოსტონიდან



REUTERS ვაშინგტონიდან

# ქუდები, ჩქარა!

ასეა, როცა გუნდი იგებს, ჰოკეის გულშემატკივარი ხარობს და ქუდებს ისვრის ყინულზე. ამბავი ვაშინგტონში ხდება, სადაც იქაური „კეპიტალზი" „ედმონტონ ოილერზს" 4-2 უგებს და სტუმართა მეკარე ტომი სალო გახევებული დგას კარში.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კილაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი:
ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვედა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge